

140
1973

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԿՈՄՄՈՒՆԻՍՏԻԿԱՆ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ԴԵՄՈՒԿՐԱՏԻԿԱՆ
ՊԱՐԿՈՒՄԻՆԻ
ՊԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



Հ Ա Մ Ե Ղ Ն Ա 
1973



სოციალისტური ნორმა შეკრები



თვალთვალაბარაქინაბული უბრაბაბენა ყაბაყვილაბს მინდვრის ყვაბილაბი.
დირაუთენია ბაბუარენა საბუბაროდ — ბყენას სპირდბა მჭრუნვბლი ხბლი.





ბორჯომის ხეობა, სადაც ეს პიონერები ცხოვრობენ, განთქმულია მარადმწვანე ტყეებით. ტყე კი, ყველამ იცის, ქვეყნის საუნჯე და ადამიანის დიდი მეგობარია. უყვართ ბორჯომელ პიონერებს თავიანთი კუთხე, ამაყობენ იქაური ბუნებრივი სიმდიდრით და უფრთხილდებიან, უვლიან კიდეც მას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ბორჯომის ტყეებს საშინელი მწერი — ლაფნიჭამია შეესია. ეს მწერი ანადგურებს ნაძვებს. ბორჯომის ტყეები შველას ითხოვდა და მთელი ხალხი დაირაზმა მის დასაცავად. პიონერები ხომ განზე ვერ დადგებოდნენ, როცა წყდებოდა მშობლიური კუთხის ტყის ბედი და 1-ლი სკოლის პიონერებმა ლაფნიჭამიას წინააღმდეგ მებრძოლი საგუშაგო შექმნეს.

ერთ დღეს საგუშაგოს წევრები სატყეო მეურნეობას მიადგნენ. მეურნეობის დირექტორმა თავისთან შეიპატიჟა პიონერები, რაზე გარჯილხართო, ჰკითხა. პიონერებმა გააცნეს თავიანთი გადაწყვეტილება.

— კარგი საქმისათვის მოგიკიდიათ ხელი, ყმაწვილებო, ნამდვილად გვპირდება თქვენი დახმარება. სამეთვალყუროდ პლატოს უბანს ჩა-



გაბარებთ. 20 000-მდე ხე ხარობს იქ. მოუარეთ, გაუფრთხილდით.

— არ შეიძლება, ხეების შეწამვლაში ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა?

— არა. შხამ-ქიმიკატების გამოყენება სპეციალისტების საქმეა. თქვენ



ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები ლია ტაბატაძე და მზია ცაღლაშანიძე სკოლის ლაბორატორიაში აწვადებენ კობრს რიზოვაშუსის ხომოს გასამრავლებლად.



და-მზა მარიკა და ვიქტორ ბარამიძეები რიზოვაშუსს ასახლებენ ლაფნიჭამისაგან დაზიანებულ ხის ქერქში.

კი, თუ გინდათ, რიზოვაშუსის გამრავლებაში დაგვეხმარეთ. სატყეო მეურნეობის ლაბორატორიაში პიონერებს კუთხე დაუთმეს და ნორჩმა მეტყევეებმა ლაბორატორიის გამგის დახმარებით რიზოვა-

87/1-21



ქალაქი


6

ივნისი
1975

საბავშვო ჟურნალი
ქალაქის და ს. ბ. ლეონის სახელობა
შუალედური სასწავლებლის
აღსაწესრიგო სახელმწიფო
საბავშვო წიგნალა

ბათუმის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ.-ის
გამომცემლობა



ბათუმის საბავშვო
წიგნალა



ფართოსან მამობრებს უსახლკაროდ ხომ არ დატოვებდნენ... ზაზა ავალიშვილი და ვალერი განიშვილი ხეზე ამავარიან საბურავს.



გუსის გამოყვანა და გამრავლება დაიწყო. რიზოფაგუსი მწერი, რომელიც ლაფნიჭამიას ანადგურებს. ამ მწერს ხელოვნურად ამრავლებენ. დაზიანებული ნაძვის მერქანში ათავსებენ. მწერი მრავლდება, ლაფნიჭამიას ანადგურებს და მერე სხვა დაზიანებულ ხეზედაც გადადის.

ბორჯომელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას არა მარტო ამ რაიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის პიონერები გამოეხმაურნენ.

ბორჯომის რაიონში ლაფნიჭამიას წინააღმდეგ მებრძოლი 13 საგულშაგო შეიქმნა. მარტო ერთი წლის განმავლობაში ნორჩმა მეტყევეებმა 1250-მდე რიზოფაგუსის ხოჭო გამოიყვანეს და ლაფნიჭამიას მიერ დაზიანებულ ხეებში შეასახლეს.

რა თქმა უნდა, ბორჯომელი პიონერები მარტო ამით არ კმაყოფილდებიან, ახალი ნარგავებით ამდიდრებენ ტყეებს, ამრავლებენ კოდალებს, რისთვისაც ტყეებში მრავალი სახლებუდე ჩამოჰკიდეს. კოდალები ტყის მეგობრები არიან და ლაფნიჭამიასაც გემრიელად შეექცევიან.

გაზაფხულის დადგომისთანავე ნორჩი მეტყევეები კვლავ მოედგნენ ტყეს. თავიანთი მონაკვეთი დაასუფთავეს, გაწმინდეს, ახალი ნერგები ჩაყარეს, სახლებუდეებიც ჩამოჰკიდეს ხეებზე.

ბორჯომელი ნორჩი მეტყევეები დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში მონაწილეობენ და ბევრიც გააკეთეს ნაძვნარის დასაცავად.

3. ნიკოლაძე.



მაღე აიყრიან ტანს ნორჩების ხელით დარღული ნაძვისა და ფიჭვის ხეები.



ზოგიერთებივით მამასაც რომ „ვოლგა“ ჰყავდეს, ჰქონდეთ სადმე აგარაკი...

— კიდევ, მამიკო, კიდევ!.. — ტიქტიკებდა მანანა და მამას არ უსვენებდა.

დავითმა კვლავ ააკოვოლავე კუბიკები. მანანამ „კოშკი დაანგრია“ და ისევ სიცილი ატეხა. „რა აცინებს ამ სულელს“, — გაიფიქრა ნოდარმა და სამზარეულოდან გამოვიდა.

ოთახში შევიდა, ფანჯარაში გაიხედა და ერთ წერტილს მიაშტერდა. ნუთუ ვერ მოახერხებს სოფელში წასვლას? ამას მაინც იზამს: გაიპარება; შოფრებს შეეხვეწება — წამიყვანეთო. თუ არა და, იტირებს, მშობლებს გულს გაუწყალებს და გაუშვებენ, მეტი რა გზა ექნებათ! სატირლად დაიმაწყა, მაგრამ ვერ მოახერხა. ამის გამო გული უფრო მოუვიდა და დედას გაბრაზებულმა დაუძახა:

— დედა!

სანამ პასუხს მიიღებდა, ველარ მოითმინა და ისევ სამზარეულოში შევიდა. მაგდანს ქვაბი უკვე ქურაზე შეედგა და ხელებს იბანდა.

— გამგზავნი თუ არა სოფელში?

— ვისთან... დედა გეგულება სადმე, მამიდა, ბიძა თუ ბებია?... — ცივად მოუჭრა დედამ.

ისევ უიმედობა, ისევ... ახლა კი აუჩუყდა გული. მაგრამ ხმის ამოდება მაინც ვერ მოახერხა.

მამამ საათზე დაიხედა:

— გაზეთები მოვიდოდა, მიდი, ნახე! — უთხრა ნოდარს.

მოწყენილმა დედას ჩაუარა. ტალანში გავიდა. აპკრა ხელი ჩამრთველს. განათებულ იატაკზე გაშლილ გაზეთებს შორის წერილიც ეგდო. ჯერ ის აიღო და, კონვერტს დახედა თუ არა, იცნო თურმანის ნაწერი. წაკითხვა ეჩქარებოდა, უნდოდა გაეგო, რას იწერებოდა... რატომღაც დარწმუნებული იყო — წერილი კარგ ამბავს მოიტანდაო.

გაზეთები წამოკრიფა და მამას გაუტანა.

თვითონ ოთახში გავიდა, სკამი ფანჯარის რაფასთან მიიდგა, კონვერტი ფრთხილად გახსნა და ორად გაკეცილი სასკოლო რვეულის ფურცელი ამოიღო.

გამართლებული გუშანი

„გამარჯობა, ნოდარ“... ასე იწყებოდა წერილი. შემდეგ თურმანი გულითად მოკითხვას უთვლიდა, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას უსურვებდა. რატომ არაფერს იწერებო, საყვედურობდა და სოფელში ეპატიუებოდა.

დასასრულს იტყობინებოდა: შაბათს თბილისში მამაჩემი მოდის, უთუოდ წამომიყვანს და გინახულებო.

გული დაწყდა — ბარათი პატარა არისო. კვლავ წაიკითხა, თარიღს დახედა და გამოიანგარიშა — თურმანს წერილი ხუთი დღის წინ გამოეგზავნა. მაშ სად შეაგვიანდა ამდენ ხანს? ხუთშაბათს მაინც უნდა მოსულიყო, დღეს კი შაბათია... ვინ იცის, იქნებ გვიან გამოგზავნა.

ერთხელ კიდევ წაიკითხა. მერე დაეკეცა, ჯიბეში ჩაიღო და ლოგინზე წამოწვა. „თუ ჩამოვიდნენ, უეჭველად წავეყვები“, — გაიფიქრა ეს და შარშანდელი ზაფხული გაახსენდა. თვალწინ წარმოუდგა ხელისგულის ოდენა ვაკეზე მოცუტქეული პატარა სოფელი... აქეთ-იქით მაღალი, ტყიანი მთები, ფერად-ფერადი ყვავილებით დაჩითული სათიბები, ქალაში ბობოქარი არაგვი, რიყის პირს პატარა წისკვილი, ერთთავად ფქვილით შეგანგულული ბებერი მეწისქვილი და ტოლი ბიჭები...

დიდხანს ტკებოდა სოფელზე მოგონებებით. ბოლოს წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. დედა მწვანილს არჩევდა, მანანა მარტო თამაშობდა. მამას გაზეთების კითხვა დაემთავრებინა, ზეზე იდგა:

— ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში წავალ, — უთხრა მეუღლეს, — ბევრი საწერი მაქვს და, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, გვიან საღამომდე ვერ მოვა-თქო.

— მოიცა, საჭმელი მალე იქნება.

— არა მშია, — თქვა და ოთახში გავიდა ტანსაცმლისათვის.

...თამაში მაინც შეიძლებოდა. რა ჰქნას? ერთბეწო ოთახში გამომწყვდეული ყოფნა როგორი საქმეა!

არა, მეტი აღარ შეუძლია, გაიპარება. სამიოდე მანეთს აიღებს და გზის ფულად მეტიც არ უნდა.

დედა ისევ შემოვიდა. ბიჭს იგი მოწყენილი ეჩვენა.

— დედიკო...

ქალმა მოასუფთავა მაგიდა, გამოაღო კარადა, გამოიღო პური. დასჭრა.

— დედა...

— რა იყო!

ეს ისეთი ნათქვამი იყო, ბიჭს ლაპარაკის ხალისი დაეკარგა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— რათა ხარ დალონებული?

— არა ვარ... — მაგდანმა გახეხრიდან ქვაბი გადმოდგა, წვენი თეფშებზე გადმოიღო და ბავშვებს მიუბრუნდა: — მოდით, დასხედით!

— არა მშია, — თქვა მანანამ, რომელიც გაფანტული კუბიკების გვერდით იჯდა.

— არც მე! — წამოიძახა ნოდარმა.

— მოდი, გენაცვალე, მოდი! — შეეხვეწა დედა მანანას.

მანანა გაძლიანდა, ტირილი დააპირა. იგი აკვანში დედოფალს აწვევდა, თან ეალერსებოდა.

დასახლისი ახლა ბიჭისკენ მიბრუნდა და შეენუყვა:

— მოდი, ჩვენ დავსხდეთ და, მანანა რომ დაგვინახავს, ისიც მოვა.

— ამ სიტყვში მღულარე წვნიანს რა მაკმევს! — ბუზღუნებდა ბიჭი.

დედამ მკლავში ხელი ჩაავლო, თითქმის ძალით მიიყვანა მაგიდასთან. ბიჭს მართლაც არ უნდა ჰქამა, მაგრამ დედის ყვირილისა ეშინია... აფსუს, დეიდა სალომეს გაკეთებული საჭმელები! მისი გამომცხვარი პური ისე გემრიელია, ჰამით ვერ გაძღები.

— ჰაა, რაღას უყურებ? — მკაცრად უთხრა დედამ დაფიქრებულ ბიჭს.

უარის თქმა ველარ გაბედა. ეს კი ჰკითხა:

— რომ ვჭამო, გამგზავნი სოფელში?

— ჰო.

ნოდარმა ეჭვიანად გაიღიმა, კოვზს ისე მისწვდა, დედისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რას მიყურებ, არა გჯერა?

— მართლა?

— გეუბნები — ჰო-მეთქი!

ბიჭი სიხარულით წაეტანა პურს, ჩაკბიჩა და კოვზი წვნიანს ამოურია... დღეს იქნებ მოვიდეს ძია არჩილი. იქნებ კი არა, ნამდვილად მოვა — გული უგრძობს. თურმანი ხომ იწერება — ამ შაბათსო. და აი, ესეც შაბათი!

კარის კაკუნი გაისმა.

დედა სკამიდან წამოდგა, მაგრამ ნოდარმა დაასწრო და სამზარეულოდან გავარდა.

დერეფანში გასული მაგდანი შეერთა, ხელები განზე გაშლილი შერჩა და დაბნეული გაჩერდა.

სტუმრები



კართან მაღალი და პირხმელი კაცი იდგა. პატარა ნაბდის ქული ეხურა. წაბლისფერი ჯაგარი თმა შუბლზე ირიბად ჩამოშლოდა. ეს-ეს არის პირგაპარსულს თაფლისფერ დიდრონ თვალეებში სიხარული უკრთოდა. უსახელოებო მოკლე ტყაპუტი, ყავისფერი შალის ბლუზა, შალისავე ლურჯი გალიფე და ქონით გაპოხილი ჩექმები ეცვა.

ეს არჩილ ბუთურაული გახლდათ!

მამის უკან თურმანი იდგა, თმა ერთიანად გადაეხოტრა და მზეზე გახუხულს თეთრად მხოლოდ კბილები მოუჩანდა.

არჩილს ერთ ხელში ჩემოდანი ეჭირა, მეორეში — ყელზე თოკშებმული ბატკანი.

სიხარულისაგან ენადაბმული ნოდარი ფეთინივით ეცა თურმანს და გადაეკუნა. მერე არჩილს მიუბრუნდა, ხელი ჩამოართვა და ფეხის ცერებზე შემდგარი მასაც საკოცნელად მიეტანა.

სტუმარი დაიღუნა და ბავშვს შუბლზე ეამბორა.

— მობრძანდით! — გონს მოეგო მაგდანი.

არჩილმა გაუღიმა დიასახლისს, თავის დაკვრით მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

— ხომ კარგად ბრძანდებით?

— გმადლობთ, არა გვიშავს რა.

— დავითი შინ არის?

— არა... სადა სცალია საშინაოდ.

— შაბათობითაც მუშაობს?! — გაიკვირვა სტუმარმა და ძირს დაგდებულ ბატკნის საბელს დაეტანა.

— საკანდიდატო მინიმუმი ეს-ეს არის ჩააბარა, ახლა კი დისერტაციას აკლავს თავს...

— სად მუშაობს?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

— ისევ იქა ყოფილა! — თქვა თავისთვის სტუმარმა და ჩემოდანს დასწვდა. როცა ზღურბლზე გადააბიჯა, ბატკანი გაუძალიანდა, მაგრამ თურმანმა უბიძგა და ტალანში შეაგდო.

არჩილი წელში ოდნავ მოიხარა. ტალანი ვიწრო, დაბალჭერიანი ეჩვენა. აქ თუმცა პირველად არ იყო, მაგრამ კარის მიხურვისთანავე ჰაერის ნაკლებობა იგრძნო.

— ისევ იმ ადგილზეა?

— დააწინაურეს, უფროსად გადაიყვანეს, — თავმოწონედ ჩაილაპარაკა დიასახლისმა და კეფასთან ჩახვეულ თმაში სარტებს ადგილი მოუნაცვლა.

— რამდენი აქვს ჯამაგირი?

— ორას ოცი.

— არაუშვარა!.. — არჩილმა ჩემოდანი დადგა, ბატკანს თოკი შეხსნა.

— აქეთ გამობრძანდით, — მაგდანმა სტუმარი ოთახში გაიყვანა.

იალაღზე სიხალვეათეს დაჩვეულმა მწყემსმა აქაც სივიწროვე იგრძნო და სუნთქვა უფრო გაუძნელდა.

დიასახლისმა ფარდები გადასწია. არჩილმა მყისვე პირი ფანჯრისაკენ იბრუნა და ფოთლებშემკვნარი აკაციონის, დახვეებული აგურის კედლის მეტი რომ ვერა დაინახა რა, გულზე რალაც ლოდივით დააწვა.

— დაბრძანდით! — სკამი შესთავაზა მაგდანმა.

— როგორა ცხელა... აქ რა გაძლებინებთ? — თქვა, სახეზე ხელსახოცი მისევ-მისევა, ოფლი მოიწმინდა და ხშირი წარბები თვალებზე ჩამოეჩეხა. ეს რომ დაინახა, მანანამ გულიანად გაიცინა. არჩილი ბავშვს მიუბრუნდა, ღიმილით ჰკითხა:

— რაო, პატარა დედავ? — თან წარბები აივარცხნა.

— აბა, ისევ ჩამოიწმინდე!

— აჰა, ბუუუ...

ბავშვი აკისკისდა.

— მანანა, ჩუ, დედა... — დატუქსა მაგდანმა.

არჩილი მასპინძელს მიუბრუნდა, ხელსახოცი უპეები ამოიშრალა.

— დავითი მალე მოვა?

— არა.

— ძმასავით მომენატრა ეგ კაი კაცი. რატომ აღარსად ამოადგა ფეხი, ახლა მაინც რას აკეთებს ამ გაგანია სიცხეში. ჩამოდით, იმხელა სახლი მიდგა, შიგ თუნდა ლეკი ჯარი დაეტევა... ხომ არ მენდურის?

— პირიქით, თქვენი დიდი მადლიერია...

— რა ვიცი... ღმერთი, რჯული, ყველანი თავს ვეველებოდით, მუდამ ხელს ვუწყობდით. მარტო იმაზე ვეჩხუბებოდით — ხალხისთვის რო ზრუნავ, კარგია, მაგრამ ცოტა შენთვისაც იფიქრე-მეთქი. ძალიან ალაღად იქცეოდა. ეგეთი კაცი...

დიასახლისი ერთხანს გულხელდაკრეფილი იდგა და დუმდა, მერე ისიც დაჯდა. ნოდარი და თურმანი მიმღებთან იდგნენ და ჩურჩულებდნენ, მანანა კი თვალს არ ამორებდა სტუმარს.

— წავიდე, თორღ დამავიანდება.

— მოიცათ, ახლავე საუზმეს მოგართმევთ, — აფუსფუსდა დიასახლისი.

— არაფერი გვინდა. ბაზარში მაქვს საქმე, საკლავები ჩამოვრეკეთ და თუ დროზე არ მივედი...

სტუმარი ჩემოდანს აუჩქარებლად ხსნიდა, თან ამბობდა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გაკლიათ, ყველაფერი ბევრი გაქვთ, მაგრამ სოფლიდან ჩამოტანილს მაინც სხვა გემო და მადლი აქვს. თუმცა რა!.. რა გაგვაჩინია. მთის კაცის ამბავი, ალბათ, მოგეხსენებათ; მარტო ყველი, ერბო და ხორცია ჩვენი სარჩო-საბადებელი. აი, ეს წურვილი ერბოა, გრილსა და ზნელ ადგილას შეინახე. დიასახლისმა მოზრდილი ქილა ფრთხილად ჩამოართვა.

— მოდით, ბალებო! — დაუძახა არჩილმა ნოდარს და თურმანს, ჩემოდნიდან მოზრდილი საზამთროს ხელა ყველის კვერები ამოიღო და ერთი ერთს გაატანა, მეორე — მეორეს.

დიასახლისი ისევ მობრუნდა. იგი ცხიმიან ხელებს ქალაღლით იწმენდა...

— ეს კიდევ ნაბერწალი შიშაქი დავკალი ამ დღით, — არჩილმა ფეშხოს თავ-ბოლოს ჩაჰკიდა ხელები და იკითხა: — აბა, სად შეინახავთ?

— აქეთ წამოიღეთ, — სამზარეულოში გაუძღვა მაგდანს.

სტუმარმა მაცივარს რომ შეხედა, ჩაილაპარაკა:

— თუ არ დაგჭირი, ვერ შეეტევა. აბა, დანა მოიტათ. დიასახლისი მიტრიალ-მოტრიალდა, ბოლოს გაიხსენა, სად შეინახა დანა და საკუჭნაო კარადის კარი გამოაღო.

სტუმარმა ხორცი მაგიდაზე დადო, დიასახლისის მოტანილ დანას ცერით ფხა გაუსინჯა და განზე გადადო. მერე ჯიბიდან ვეება ჩაყვა ამოიღო და ფეშხოს ჯერ მხარი ააჭრა, მერე ბარკალი.

უცბად აღტაცებული მანანას წივილი გაისმა.

— რა იყო, გოგო! — შესძახა გულგახეთქილმა მაგდანმა.

— შეხედე, შეხედე!.. — გოგო თითს ბატკნისკენ იშვერდა, რომელიც ხელჩანთაში ჩარჩენილ მწვანილს მისდგომოდა.

— ჭამოს, მშვიერია. მთიდან დილაადრიან ჩამოვიყვანე, — თქვა არჩილმა, დაბანილი ხელები ტილოთი შეიწმინდა და ისევ დერეფანში გავიდა.

— სალამოს აუცილებლად მობრძანდით, იქნებ ადრე მოვიდეს დავითი, — უთხრა მაგდანმა და სტუმარი გააცილა.

— თურმან, დარჩები? — მოუბრუნდა ბიჭს გარეთ გასული არჩილი.

— დარჩეს, ნოდარი გამოყრუვდა მარტო ყოფნით.

— კარგია... საქმეს მოვათავებ თუ არა, ისევ მოვალ.

დიასახლისმა სტუმარი კიბეზე ჩააცილა.

არჩილი „ვოლგისკენ“ გაბრუნდა. ტანის ნელი რწევითა და ნალებით დაქედილი ჩექმების ბრაგაბრუვით მიდიოდა, თან მარცხენა ხელით შარვლის ჯიბეს იჩხრეკდა. ცოტა ხანს მანქანასთან გაჩერდა, გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ჩაჯდა.

გამგზავრება

ყველანი სამზარეულოში არიან. მაგდანი ჭურჭელს რეცხავს, ნოდარი და მანანა ბატკანს ეფოფინებიან. თურმანი მაგიდასთან ზის, ოფლს იწმენდს, თან და-ძმას გაღიმებული უტკერის და მათი სიხარულით თვითონაც ხარობს.

— ჩვენი ლამაზი ბეკეკო... გავზრდი და ცხვარი გვეყოლება. — ამბობს ნოდარი.

— ეგ აქ დიდხანს ვერ გაძლებს, — ჩაილაპარაკა თურმანმა.

და-ძმის სახეზე შიში აღიბეჭდა. ნოდარს ბატკნის კისერზე ხელი გაუშეშდა, თურმანს შეეკითხა:

— რატომ?

— მაგას მთა უნდა, იალაღი, დარი, ავდარი, ნიავი, აქ კი თქვენც ძლივს ეტევით...

— ბაზრიდან ყოველდღე მწვანილს მოვუტანთ...

— მაინც ძნელია.

— ზვალვე დაიკვლება, — თქვა მაგდანმა.

— რაო? — ახლა დედას მოუბრუნდა ნოდარი.

— მამაშენი დაჰკლავს.

— ჰო, მაშ! — ტირილით წამოიძახა მანანამ.

— ვინ დააკვლევინებს! — ბუზღუნებს ნოდარი.

— სულერთია, მაინც მოკვდება! — ჩაილაპარაკა თურმანმა.

— არ მოკვდება, გავზრდით! — თქვა შემფოთებულმა ნოდარმა.

ჩაფიქრდა: რა ქნას, როგორ უშველოს ბატკანს? რა უხაროდა! სახელიც კი შეურჩია. ნუთუ მართლა დაჰკლავს მამა?

— გადახვედი მეექვსეში? — ფიქრებიდან თურმანის ხმამ გამოარკვია.

— კი. შენ?

— მეც. რა ნიშნები გაქვს?

— სამებიც, ოთხებიც, ხუთებიც. შენ?

— მეც არა მიშავსრა.

— სამებზე ჩამოხვედი?

— არა.

— ოთხებზე?

თურმანმა კვლავ თავი გააქნია.

— ფრიადოსანი ყოფილხარ, შენ კი ამბობ: „არა მიშავსრა“...

— შენ ეს მითხარი, როგორა ძლებთ ამ სიცხეში?

— შეჩვეული ვართ, — მიუგო ნოდარმა.

— ჩვენსა არ წამოხვალ?

— ეჰ, კი წამოვალ, მაგრამ... — სახე მოედრებლა ბიქს.

— რაო, დედა არ გიშვებს?

— თოკით რომ დამბას, ავიწყვეტ და გამოვიქცევი. თურმანს გაეცინა.

სამზარეულოში მაგდანი შევიდა.

— დედა!

— რა გინდა?

— სოფელში მივდივარ, მომამზადე.

მაგდანმა არაფერი უპასუხა. ბიჭები კი ერთმანეთს გასუსულები შეპყურებდნენ.

— მომამზადე-მეთქი, — დაჟინებით მოითხოვა ნოდარმა.

„თუმცა, რად უნდა შევაწუხო დედაჩემი, თვითონაც კარგად მოვემზადები“. — გაიფიქრა განაწყენებულმა და ოთახში დაბრუნდა. კარადიდან საცვლები და ტანსაცმელი გამოიღო, დაკეცა, ერთმანეთზე დააწყო, გაზეთებში შეახვია და ძაფით შეკრა. შემდეგ სამზარეულოში გავიდა, ბატკანს მიაჩერდა, რომელიც მწვანის მადიანად შეექცეოდა. მივიდა, ხელში აიყვანა.

— სად მიგყავს? — შეეკითხა დედა.

— საბაზანოში.

— იქ რა უნდა?

— წყალს დავალევიებ.

...საათის ისარი სამს უახლოვდებოდა. „ნეტავ კიდევ დიდხანს დაიგვიანებს ძია არჩილი?“ — გაიფიქრა ნოდარმა და თურმანს უთხრა:

— უკვე მზადა ვარ. ახლა კი წამო, შაში ვითამაშოთ.

— შაში კი არა, ვილაპარაკოთ.

— რა გაინტერესებს?

— სტადიონზე დადიხარ?

— აი, ტელევიზორი, რა მინდა სტადიონზე!

— თეატრში?

— მხოლოდ მოზარდში, მაგრამ იშვიათად. სოფელში ცხელა?

— სოფელში სიცხეს რა უნდა!

— უფ, რა კარგია! მოდი, ბატკანი ისევ სოფელში წავიყვანოთ.

— მამაჩემი არ დათანხმდება.

— დავიყაბულოთ.

— არ იზამს. გაჩუქათ და უკან აღარ დაიბრუნებს.

— შენ თუ მხარს დამიჭერ რამეს მოვახერხებთ...

— მართალი გითხრა, მეც მეცოდებოდა, მაგრამ მამას ვეღარა ვუთხარირა.



— მორჩა, ბატკანი მიგყავს!..

ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. „ძია არჩილი იქნებაო“, — წამოიძახა ნოდარმა და კარისაკენ გაიქცა.

— მოვიდა დავითი? — იკითხა არჩილმა.

— არა.

— რომ არ მეჩქარებოდეს, დავიციდი, — თქვა ხმამალა და სამზარეულოში შეიხედა.

მაგდანმა ხელსაქმეს თავი მიანება.

— ჩვენ წავალთ, დავითთან ბოლიში მომხალცე.



— მოითმინეთ ცოტა ხანს... — აწრიალდა დიასახლისი, საკუჭნაო კარადა გამოაღო.

— არა, წავალთ.

— რა გეჩქარებათ, მანქანა გყავთ...

— შინაობას რაც მალე ავხედავ, უკეთესია... კარტოფილი გვაქვს გასათონხნი. მერე მთაში უნდა წავიდეთ. ფარაში ორნიღა დარჩენენ...

— თურმან! — თვალი უყო ნოდარმა.

— მამა, ბატკანი უნდა წავიყვანოთ.

— რა ბატკანი?..

— დედი, მიგვყავს ბატკანი!

— არა, ნუ უთუ! — თოჯინა გვერდზე გადადო მანანამ.

— რომ არ წავიყვანოთ, მამა დაკლავს.

— ნუ დავაკვლევინებთ!

— ბატკანი კი არა, შენ ვინ გიშვებ?..

არჩილი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და თქვა:

— შენ წამოდი, ბატკანი კი დარჩეს. განაჩუქებს უკან აღარ იბრუნებენ.

ბიჭებმა ბატკანი გამოიყვანეს. არჩილი მათ წინ გადაუდგა, ატირდა მანანაც, მაგრამ გაძლიანდნენ და თავიანთი გაიტანეს.

— აბა, რა უნდა ქნას კაცმა! — ხელები უმწეოდ გაშალა არჩილმა.

ბატკანი ცუხცუხით გაიყვანეს და კარს მიღმა გაუჩინარდნენ.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! დავითს ჩემი მოკითხვაც და საყვედურიც! ამოდი როდისმე და მნახეთ-თქო. რა დანიშნავებია, რომ მერიდება? ნუ გემინიათ, ნოდარს კარგად მოვუვლით, — თქვა არჩილმა.

მაგდანმა სტუმარი ეზომდის ჩააცილა.

ნოდარი და თურმანი მანქანასთან იცდიდნენ.

— მამა, მოდი, გაგვიღე!

არჩილმა ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო. ერთ-ერთი გამოარჩია და საბარგული გააღო. ბიჭებმა ბატკანი შიგ ჩასვეს.

ნოდარმა უკან რომ მოიხედა, დაინახა: დედა დანაღვლიანებული იცქირებოდა. ცალი ხელი მახანასთვის წაევლო, ცალით კი ხალათის საყელოს ისწორებდა.

— აბა, კარგად იყავი! — ბიჭმა დედასთან მიიბრინა და გადააკოცა, მერე მანანას მოეხვია...

— კარგად იყავით, დეიდა მაგდან! — ხელი ჩამოართვა თურმანმა.

მანქანაში სწრაფად ჩასხდნენ. არჩილმანელა მიიკეტა კარი, ხელის მუხრუჭი მიუშვა, ჩართო ძრავა და ათუხთუხებულები მანქანა ნელა დასძრა.

სოფელში

ეზოდან რომ გავიდნენ, ნოდარმა შევებით ამოისუნთქა. თურმანის გვერდით იჯდა და პირდაპირ იცქირებოდა. წელში ოდნავ წახრილი არჩილი საჭეს მსხვილი, დაკოყრილი ხელებით ჩაფრენოდა. ნაბდის პატარა ქუდი კეფაზე მოეგდო, საყულო გაედუნა და ახალგაპარსული კისერი გაშეშებული ეჭირა.

სწრაფად გასცდნენ ქალაქს, გაიარეს მოშრიალე ქაღირების ხეივანებით დაჩრდილული დიღმის გზატკეცილი და ზაპესიკ გამოჩნდა. ნოდარმა დაგვალულ თხემზე ამაყად გადმოდგარ ჭვარს გაუშტერა თვალი, სვეტიცხოველსაც ვახედა.

სურათი სურათს ცვლიდა...

ეჰ, ნეტავი მამასაც ჰყავდეს მანქანა — ყოველდღე

თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც გამოასეირნებდეს აქეთკენ...

მინდორი თანდათან შევიწროვდა, ყინვალთან მიიჩიხა. არაგვის ვიწრო ხეობაში შევიდნენ. ნოდარმა ახლა უკვე ცხადად იგრძნო სიგრილე. ჩაწეული მინებიდან ნიავს შემოჰქონდა აყვავებული ველ-მინდვრების მსუყე, თავბრულამხვევი სურნელი.

...მზე კარგა იყო გადახრილი, როცა არჩილმა გზიდან გადაუხვია და მანქანა თეთრი სიპი ქვის ყორით შემორაგულ ეზოსთან გააჩერა.

ნოდარმა მიმოიხედა. თითქმის ყველაფერი ისევ ისეა, არაფერი შეცვლილა. ამწვანებული ხეხილი, კარტოფილის კვლები, სამოთახიანი, ჭერმაღალი სახლი, მის გვერდით ბანიანი დაბალი ბოსელი, ბოსლის გვერდით ბოსტანი. დასუფთავებული ფარები, ბაკი... საღლაც ძალღი აღავლავდა.

ნოდარმა მყისვე იქით გაიხედა. ბაკს ქვემოთ დაბმული ძალღი მათკენ იწვევდა. როცა დარწმუნდა, შინაურები იყვნენ, ვაჩუმდა და წკმუტუნით გამოიწვია. ეს ხომ შარშანდელი ლეკვია! რამოდენა გაზრდილა, როგორ გაავებულა!

არჩილმა მანქანის საბარგული გააღო. ბატკანი გადამოხტა, ეზოში ყურების პანტურით გაიარა და ბალახს დაეხარბა.

მასპინძელმა მანქანა გარაჟში შეიყვანა, კარი დაკეტა და სახლისაკენ რომ გაეშურა, მაშინღა შენიშნა: კარი ჩარახული იყო. მობრუნდა და ბიჭს გასძახა:

— დედაშენი სადმე მეზობლებში იქნება, წადი, დაუძახე.

თურმანს ნოდარიც აედევნა. გზად უთხრა:

— ბატკანი დღესვე მთაში წავიყვანოთ.

— ახლა ვეღარ მოვასწრებთ, — უპასუხა და გადახრილ მხეს ხელმოჩრდილულმა გახედა.

— მწყემსები აქედან შორს აძოვებენ?

— ჰო.

სოფელში ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ ირგვლივ, საღამდისაც კი თვალი მიუწვდებოდა, ყველაფერს ისე ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავდა. ორლობეში ერთგან ნაწვიმარი წყალი დატბორილიყო, შიგ იხვის ქუჭულები დაცურავდნენ, ნაპირზე დარჩენილი კრუხი კი ამოოდ უხმობდა.

ბავშვებს შარვლის ტოტები მუხლებამდის აეკეცნათ და, თითქოს რაღაცას ეძებნენ, ტლაპოში დატოპავდნენ. ერთიც არ იყო ნოდარის ტოლ-სწორი, მაგრამ ძალიან მოუუნდა მათთან მისვლა. ამ დროს თურმანმა მეზობლისას გადაუხვია და ნოდარიც მას მიჰყვა.

— მართა! — დაიძახა თურმანმა.

სახლის უკანა მხრიდან გრძელნაწნავებიანი, შავგვრემანი კანჭა გოგო გამოვარდა. ფეხშიშველი იყო და მოკლე ჩითის კაბიდან გამხდარი მუხლები მოუჩანდა. როგორც კი ნოდარს მოჰკრა თვალი, მყისვე გაიქცა და კედელს მიეფარა.

— განა დამაცადა მეთქვა რამე! — წყენით ჩაილაპარაკა თურმანმა და ის იყო კიდევ დააპირა დაძახება, რომ დედამისიც გამოჩნდა. სალომეს მკლავზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ნართის გორგლები ეწყო და წინდის ქსოვიტ მოდიოდა. ბიჭებს რომ დაავიროდა ქსოვა შეწყვიტა და ფეხი ააჩქარა. იგი მაღალი, გამხდარი ქალი იყო. ყავისფერი კაბა ეცვა, თავზე ჭრელი ქიშმირი ეხვია.

— გამარჯობათ, დეიდა სალომე! — მიესალმა ნოდარი და ხელი ჩამოართვა.

— გაგიმარჯოს, შვილო, — უპასუხა ქალმა და ბიჭს აკოცა, — როგორა ხართ შინაობითა?



— კარგად.
— დედა და მამა არ წამოვიდნენ?
— არა...
— მამაჩემი გინმობს, — უთხრა თურმანმა და ორი-
კემ ზემოუბნისკენ გასწია.
— წამოდი თინა, სადღა მიხვალთ?
— ცოტა ხანს გავივლით.
...აყვავებული და მწვანე ქათიბით დამშვენებული
სერები, ტყით შექოჩრილი გორები, წარაფებიანი ხევე-
ბი, დასარყული ხასხასა სათიბები, ხეობებში აბორგებუ-
ლი ღელეები, კამკამა ლაყვარდში მობოინე ქორები...
რა ლამაზია ყველაფერი ეს!
უფრო მალა ავიდნენ გორაზე და გადმოიხედეს. სახ-
ლები ფუტკრის სკებს ჰგავდა, ხეხილი — ჭუჭა ბუჩ-
ქებს. სადღაც სათიბებში მწყურები კვიტკვიტებდნენ.
ნოღარი სათიბში გულაღმა გაიშოტა და ლურჯად
მოკამკამე ცას მიაშტერდა, მერე პირქვე გადაბრუნდა და
მიწასა და ლორთქო ბალახს დასუნა, ბოლოს კი წამოჯ-
და და კვლავ სოფელს გახედა.
— წავიდეთ, დედაჩემი რამეს გააკეთებდა, — თქვა
თურმანმა.

დაღმართზე ნელი ნაბიჯით დაეშვენენ. სოფელს რომ
მიუახლოვდნენ, განაპირა ლობეზე ერთი დიდი, წითე-
ლი მამალი შემოჯდა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ისე
იყვილა, რომ სათიბის პირას დაბმულმა ბოჩოლამ თავი
აიღო, მოძოვილი ბალახი გაცოხნა და მამალს შეხედა.
რა ლამაზია, ნეტავი ხელში დააჭერინა! რა კარგი
იქნებოდა სოფელში რომ ცხოვრობდნენ! ეყოლებო-
დათ ქათმები, იხვები, ინდაურები, ცხვრები, ბატკნები,
ძროხები, ხბორები, ლორები, გოჭები, ძაღლი...
ბიჭების დანახვაზე მამალი ეზოში ჩაფრინდა, კარ-
ტოფილის ბუჩქებში გაუჩინარდა. ნოღარმა ბოჩოლისკენ
გადაუხვია, მიეფერა. ხბოს ეგონა, პურის ლუქმას შემომ-
თავაზებოდა, გაჩერდა და უცნობს დრუნჩი გაუშვირა, თან
შავი ქლიავისფერი ნესტოები დაბერა და ხელზე დასუ-
ნა. როცა დარწმუნდა, ბიჭს საკბილო არა ჰქონდა, არა
დაფრთხა, მაგრამ ათიოდე ნაბიჯზე საბელმა შეაჩერა.

ფიცვარცხლი

მეორე დღეს დილაადრიან არჩილი და სალომე ახო-
ში კარტოფილის სათოხნად წავიდნენ. შინ მარტო ნოღა-
რი და თურმანი დარჩნენ.



— აი, ახლა წავიდეთ მთაში! — თქვა თურმანმა.
— ბატკანს წავიყვანთ?
— მაშა!
— ძალიან შორია?
— არც ისე.
— გზები როგორია?
— ზოგან კარგი, ზოგან ცუდი.
თურმანმა ნოღარი დიდ ოთახში შეიყვანა. სტუმარი
მოფარდავულ კედელზე ჩამოკიდებულ იარაღს მიაშტერ-
და. ბერდანა, დამბაჩა, ორლულიანი „ტულუკა“, მოვერ-
ცხლილი ქამარ-ხანჯალი, მოზარნიშული ფარი, ხმალი...
— რად გინდათ ამდენი იარაღი?
— გვაქვს და ხომ არ გადავყრით. ზოგი პაპის პაპის
ნაქონია, ზოგიც — პაპისა. ეგ ორლულიანი მამაჩემს ამ
ზამთარს შონჩოელმა ნაძმობმა აჩუქა, ის ხმალ-ხანჯა-
ლი — იუხოელმა. შარშან შემოდგომაზე, ყიზლარში წას-
ვლის წინ ჰამეს ფიცვერცხლი.
— ფიცვერცხლი რაღაა?
— როცა ძმებად გაიფიცებიან, არაყში ვერცხლს
ჩათლიან, ორივენი ერთმანეთს ძმებად გაიფიცებიან და
დაღვივენ...
— მოდი, ჩვენც გავეფიცოთ, — გაიღიმა ნოღარმა.
— გავეფიცოთ! — დაეთანხმა თურმანი და ძველე-
ბური ქსნური ხელადა და წყვილი პატარა ყანწი მოიტა-
ნა, კედლიდან ერთი ვეებერთელა ხანჯალი ჩამოხსნა,
ვერცხლის ბუნეიკი ჯერ ერთ ყანწში ჩათალა, მერე —
მეორეში, ბოლოს ორივეში ცოტ-ცოტა არაყი ჩაასხა.
— რაც მე ვთქვა, გაიმეორე! გავვიმარჯოს, გვაცოცხ-
ლოს, კარგად გვამყოფოს!
— გავვიმარჯოს, გვაცოცხლოს, კარგად გვამყოფოს!
— შენი დედა ჩემი დედაც იყოს, ჩემი დედა — შე-
ნი!.. — თქვა თურმანმა და ნოღარს ყანწი მიუჯახუნა.
ნოღარმა ზუსტად იგივე გაიმეორა.
— შენი მამა ჩემი მამაც იყოს, ჩემი მამა — შენი! —
წამოიძახა მასპინძელმა...
— შენი მამა ჩემი მამაც იყოს, ჩემი მამა — შენი. —
დაუდასტურა სტუმარმა.
— შენი დაი ჩემი დაიც იყოს. თქვი: ამინ!
— ამინ!

შენი ნათესაობა ჩემიც იყოს, ჩემი — შენი!
ვინც ეს ფიცი გატეხოს. მწყურ-
ვალს წყალი დაუშრეს, მშიერს პური მი-
წად ექცეს!
— ...მწყურვალს წყალი დაუშრეს,
მშიერს პური მიწად ექცეს.
— ჯერ მეწყერმა წაიღოს, მერე
წყალმა გარიყოს!
— ჯერ მეწყერმა წაიღოს, მერე წყალ-
მა გარიყოს!
ყანწები ვახტანგურად მოიყუდეს.
არაყი ორივეს ემწარა და დაიზიზღეს.
მაგრამ რაკი დაღვევა აუცილებელი ეგო-
ნათ, ცოტა მაინც მოსვენს.
— ესეც ასე! — თქვა თურმანმა.
— მე ფიცვერცხლი მაინტერესებდა.
თორემ განა ისედაც ძმობილები არ ვი-
ყავით?



მზიან ხეობანი

კვებნი, კვებნი...

ზაფხულია —
 სიმღერ-სიმღერ
 გადაშლილი ფერად გზებად,
 კლდე-ჭიუხი სულში გვიმზერს,
 ზამთრობით რომ გვესიზმრება.
 გვედახიან ლურჯი მთები,
 სივრცე გვიხმობს მინდორ-ველთა,
 ქარს და სხივებს მივუძღვებით
 სიმაღლესთან,
 სინათლესთან.
 დღე იღვრება მზის ჩქერებად,
 ღიღინებენ სნო და ლიხი,
 გზა წიგნივით წინ გვეშლება —
 გოჯა-გოჯა წასაკითხი.
 გულიც იწვის კოცონივით,
 ცად ფიქრივით ადის კვამლი
 დაუვიწყარ მოგონებად
 იძირება სულში ხვამლი,
 მზის წუნიც ლაწუნდარა,
 მხიარული ცხენისწყალი,
 რუხი ღამე ლაჯანურზე —
 ბაყბაყდევის ნატერფალი;
 ზღაპრები და ლეგენდები,
 ოცნებები ფარა-ფარა...
 ისევ გზები,
 გზები, გზები...
 ხვალ უშგულში გავმლით კარავს!



ჩიუხი ნიბლიავ...



სისხლის წითელი წინწყალი
 ბრჭყალზე გაუკრთა ალალს,
 ატირდა ლურჯი ღიღილო —
 მინდვრის ციმციმა ქალა...
 ყაყაჩოც სიმწრით ბნდებოდა,
 იწვოდა ცეცხლის ალზე,
 ნეტამც არ დაგძინებოდა,
 ჩიტო ნიბლიავ, ნარწყ!

ირიბი...



ხევ-ხევ დაეშვა ხივილით
 ტილი ცივი ქარი,
 თოფი გავარდა ხირიმი,
 ტყემ ჩამორეკა ზარი...
 ირემო, მთასა მყვირალო,
 ავაი, შენი ბრალი!
 სვავთა რად შეერეს ირაო,
 სად გყავს ტოლი და ცალი?!

მთაში



დაბოინობენ არწივნი,
 ლაჟვარდებს ფრთებით ფარავენ;
 თეთრ ჩანჩქერების ძახილით
 ხევი გადმოდის ალავერდს.
 კლდეზე ჯიხვი დგას ბერხენი,
 ლაჟვარდი რქებით უჭირავს,
 მეც სალ პიტალოს ვემთხვევი,
 მეც კლდეთა შვილი —
 ქუჩი ვარ,
 ამ სილამაზემ მომხიბლა,
 რომ ვდუმვარ,
 განა მუნჯი ვარ!



**უკომჯომის
სკამი**

ჩანახატი


შემოდგომის საღამოა. ნელა მიეყვები ოქროსფერი ფოთლებით მოფენილ გზას და ბუნების სიმშვენიერით გაოგნებულს თავი სიზმარში მგონია.

ფეხქვეშ მოშრიალე ხმელი ფოთლები, ყვითლად მოსილი ხეები, ნაზად მოალერსე თბილი ნიავი მამცნობს შემოდგომის მოსვლას. ნელა მონარნარებს უზარმაზარ ჭადრის ხეს მოწყვეტილი ფოთოლი, ტრიალ-ტრიალით, ცეკვა-ცეკვით ეშვება მიწაზე. მას მეორეც მოჰყვება, თითქოს მეზობელი ვერ მიატოვაო, და ისიც მსუბუქად, პეპელასავით დაფარფატებს ჰაერში. მწვანედ გამოწყობილი კობტა ნაძვები მორჩილად აქნევენ თავს. ბალახებში მიმალული პატარა ყვავილებიც სიამით ნაბავენ თვალებს, თითქოს ისინიც ტყებში. ანო ბუნების ამ წყნარი საღამოს მშვენიერებით. მივდივარ და თითქოს ვიძირები ოქროსფერად მოლივლივე ფოთოლთა ტალღებში. ვიძირები და არცა ვცდილობ თავის დაღწევას.

ირგვლივ მხოლოდ რომელიღაც ფრინველის ჭიკჭიკი ისმის. აი, ერთადერთი სულდამული, რომელიც არღვევს მყუდროებას და მხიარული სტევენით გამოხატავს თავის აღტაცებას მყუდრო, იღუმალეებით მოცული საღამოს მშვენიერებით. ხეები კი სულ უფრო მეტად აქნევენ თავს მოწონების ნიშნად და ფოთოლთა ზღვაც, სულ უფრო ღელავს. ჰოი, რა კარგია ყოველივე ეს!

მარიამ გვაჩავა,
სოხუმის მე-ნ საშუალო სკოლა.


დაუმორჩილებელი



ლოვან
მარდოსანიძე.
თბილისის
რკინიგზის
1-ლი საშუალო
სკოლა, IX კლასი.

დასმობობა





მე მუდამ მახსოვს ერთი ზღაპარი,
 ეს იყო ჩემი პაპა ბებერი,
 თავზე ეყარა თეთრი ფაფარი
 თოვლის ბაბუას როგორც შეპფერის...

ალიო მირცხულავა.

„აბა ჩქარა, აბა ჩქარა, მერაბი! — მომესმა პაპაჩემის ხმა. სწრაფად წამოვხტი და ჩაცმა დავიწყე. იგი კი ვერ ისვენებდა, წამლაუწუმ შემოდოდა ჩვენს ოთახში და მაჩქარებდა. „დაგვაგვიანდა, დაგვაგვიანდა“. მას ვერაფერს მოასწრებდა ადგომას, მითუმეტეს თუ სადმე მივდიოდით. საოცრად ხალისიანი და ენერგიული იყო. რაიმეს რომ გადაწყვეტდა, ვერ მოისვენებდა, სანამდე არ შეასრულებდა. დიდი ხანია მპირდებოდა ენგურბესის მშენებლობაზე წაყვანას. თითქმის მთელი საქართველო მოგვატარა მე და ჩემი და მაიკო. ბოლოს გადაწყვიტა, ახალი გრანდიოზული მშენებლობა ეჩვენებინა.

ჭერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, მანქანაში რომ ჩავსხდით. ალიო პაპა წარმოსადგე კაცი იყო, რის გამოც უჭირდა მანქანაში ჩაჯდომა, თავი უოველთვის ჭერზე ჰქონდა მიბჯენილი.


პაპაჩემს მოგზაურობა უყვარდა, განსაკუთრებით სამეგრელოსაკენ, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო. მართალია, დედა მაშული და დიდი პაპა ანდრი ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ იცოდა, რომ საყვარელი და, რომელიც ჭერ კიდევ ათბობდა მის მშობლიურ კე-

რას, ნაკლები სიყვარულით არ შეეგებებოდა. აი ენგურბესისცი საოცარი, ზღაპრული ადგილი. გაფაციცებული შევცქეროდი უოველივს. მუშენი ჩვენს გარშემო დახსდნენ. პაპაჩემს სთხოვეს, ლექსები წაგვიკითხეო. მანაც დიდი ხალისით წაიკითხა ახალი ლექსები. არასოდეს დამავიწყდება ამ შეხვედრისას განცდილი სიხარული.

დილით, სკოლაში წასვლამდე, ჩვენ ჭადრაკს ვთამაშობდით ხოლმე. მე თითქმის უოველთვის ვუგებდი ალიო პაპას. ერთხელ კი ავდექი და მოვაგებინე. ძალიან კარგ გუნებაზე დადგა. გადავწყვიტე, ეს მდგომარეობა გამომეყენებინა და ჩემი ლექსი მივაწოდე. წაიკითხა. „ბიი ბიი — გაეცინა და მითხრა: — არა, მერაბ, შენგან პოეტი არ გამოვა. შენ იწინერი ან „დობტური“ უნდა გამოხვიდე“. გულდაწყვეტილი გამოვედი მისი ოთახიდან. ვნანობდი, რომ მოვაგებინე. იმის შემდეგ ლექსის წერა აღარ მიცდია. სამაგიეროდ, თვით ალიო პაპამ დაწერა ჩემზე ლექსი — „ასე მომიგონებს ჩემი შვილიშვილი მერაბი“:

„ხან იყო მშვიდი და თვინიერი,
 ენოტივით ზურგზე მაჯენდა,
 მაგრად აბჯენდა მკლავებს ხნიერი
 და იატაკზე დაბაჯბაჯენდა.
 გაცეცხლდებოდა, მალე ცხრებოდა,
 გაეხვეოდა ფიქრის ბაღეში,
 ხან ცელქობისთვის გამიწყრებოდა,
 მაინც ვუყვარდი თავის ბაღიში.
 ბოლოს მისი ხმა იქცა ქუხილად,
 ზღვას გააფთრებულს როგორც შეპფერის,
 მე რა ვიცოდი: თურმე, უხილავ
 სიკვდილს უღრენდა ლომი ბებერი“.

მერაბ მირცხულავა,
 თბილისის 150-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.



ჭეჭოს მიკვებართო

მოდი, ბებოს მივეხმართო,
 სახლი გაუგრიალოთ,
 ბებო დაჯდეს,
 ძაფი დართოს,
 ჯარა დაატრიალოს.

პაპა იოსელიანი,
 მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა.

ალუბლის კუნწუღა

დუღდა ალუბალი:
 უცებ მომტაცა თვალი,
 უცებ მომტაცა ხელი,
 უცებ მოვიგდე პეშუში,
 უცებ ჩავიგდე პირში,
 უცებ გადამცდა ყელში.

ლელია კაციაშვილი,
 თბილისის მე-60 საშუალო სკოლა,
 II კლასი.



მხედრობი



თენგიზ შავლაშვილი. თბილისის მე-17 საშუალო სკოლა, VI კლასი.

თავუკელახი

ბოსტანს სარეველები აწუხებდა. გოგონამ მეტი ვეღარ შეძლო და ღობეზე თავუკულმა გადააყიდა. ოხრახუში ოხრადა:

— ეეჰ! რამდენი ხანია მზრუნველი ხელი არ დამკარებია. ლამის სული ამომაძრონ ამ ნაძირალა სარეველებმა!

პრასს ულვაშები გადაეპრისხა და იქვე მდგომ ვაზისთვის მიეყრდნო თავი, რომ არ წაქცეულიყო.

ვენახი თავისას ჩიოდა:
— რაც ეს ოხერი ბოსტანი გააკეთეს, მის მერე შევიწროებული ვარ და

იმდენი მოვლა-პატრონობა არა მაქვს, რაც უწინ მქონდა.

— თქვენ რა გიჭირთ, მე ვიკითხო თორემ... — ჩიოდა ქინძი, რომელიც თხას თუ ღორს გაეჭელა ჩლიქებით.

— ვაი, ვაი! — გაისმა ამ დროს კენესა, ყველა ბოსტნულმა იქით იბრუნა პირი.

— ვაიმე, როგორ ჩამარტყა ამ წყეულმა თავში! — კვლავ ისმოდა ხმა.

— რა დავმართა? — იკითხეს ბოსტნეულებმა.

თურმე სტაფილო კენესოდა. მისთვის სარეველას საზრდო წაერთმია და თავ-

შიც ერთი ლაზათიანად წაეთავაზებინა.
— მოიცათ, ხალხნო! ქვეყანა ისე როგორ დაიქცევა, ერთი თოხის დაკვრაც არ გვეღირსოს. ცოტა მოვითმინოთ, იქნებ...
ვერც კი დაასრულა რეჰანმა სიტყვა, რომ უცებ ღობის ბოლოდან ვილაცის ხმა გაიგონეს:

— ზურა, იცი თოხი სადაც დევს? ჩქარა, სანამ მოხუცები მოგვისწრებენ. მე და გია ვენახს გავთოხნით, შენ ბოსტანს მოუარე.

ამას დათო ამბობდა. იგი და მისი მეგობრები თემურელები იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ ნინო ბებიასა და თედორე ბაბუას შვილები და შვილიშვილები ქალაქში იყვნენ და მოხუცებს უჭირდათ ნაკვეთის მოვლა.

ერთ საათში უკვე ყველაფერი მოაწესრიგეს და ის იყო წასვლას აპირებდნენ, რომ უცებ თედორე ბაბუა წამოდგათ თავს.

— დიდი მადლობა, შვილებო! მაგრამ ამდენი გიმუშავნიათ და ახლა ასე გაუმასპინძლებელი უნდა წახვიდეთ?

ბიჭები ჯერ დაიბნენ, მაგრამ ზურამ მოახერხა ხმის ამოღება:

— მადლობად არა ღირს, თედორე ბაბუა, ჩვენ მხოლოდ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

მოხუცმა სპეტაკ წვერზე ხელი ჩამოისვა, მიმავალ ყმაწვილებს თვალი დიმილით გააყოლა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნამდვილად კარგი თათბა გვეზრდება!

ნანა ბრიგოლია,

თბილისის 150-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

კანისხული

გადამწვანდა მინდორ-ველი, აბიბინდა ჯეჯილი, ჩვენმა რუმაც მოიმატა, გადმოლახა კებირი.

ცივი წყარო ალიკლიკდა — ჩუხჩუხა და პატარა, ვარდმა ტოტი შეიბერტყა და კოკორი გაშალა.

ვაზმა ტბილი ცრემლი ღვარა, კვირტი ამოაფეთქა, ჩიტბატონამ ფუძე გასკვნა, ბუდე ამოაშენა.

მანანა ჰვირია,

ტყიბულის I-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი.

ღელს ღარივები

ღელა მუდამ იმას ფიქრობს,
რომ მე ვიყო წესიერი:
დილით ადრე უნდა ადგე,
არ მიყვარსო ნებიერი;
უნდა კარგად ისწავლოო,
გამოხვიდე გონიერი,
შენი შრომით, შენი ცოდნით
ასახელო ჩვენი ერი,
ღელაშენი სწორედ მაშინ
იქნება, ბედნიერი

ინო მარგულაშვილი,
სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა,
V კლასი.

ჭაღმა

ზღვის ნაპირას შრიალებს და
თავს იწონებს პალმა,
მოხასხასე ტოტებს არხევს,
თან ცისაკენ ილტვის,
აიტაცა, აამღერა
ცხრათვალა შვის აღმა,
და საამოდ უვლის ტანში
ლურჯ ტალღების რიტმი.


ლალი ჩაგუნავა,
გულრიფშის რაიონის ბაბუშერის სა-
შუალო სკოლა.



ტყეში



შალვა იაშვილი,
ვანის რაიონის შუაგორის საშუალო სკოლა, V კლასი.



სვანეთი

ბილიკი... ვიწრო და პატარა ბილიკი...
მყინვართა ველზე — ციმციმა არილი.
მოვედით, ხელგაშლით გემასპინძლობს სვანეთი,
რამდენი სითბოა, რამდენი ყვავილი!

კოშკები, კოშკები... ტანადნი, ამაყნი...
დილაა, მანდილად ეხვევა მთებს ნისლი.
— მობრძანდით, მობრძანდით! — კარს გვიღებს მოხუცი,
გვხვდებიან სვანები მთის სიდარბაისლით.

ჩანჩქერი ჰაერში მძივებად იშლება...
შხარასთან ენგური კლდეებს რომ შეუტევეს,
ვედის ტყეს დასტოვებს ქურციკი შემკრთალი
და... უშბის ყინულეთს თეთრ კარებს შეუმტვრევს.

ელენე კოროზინაძე,
მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი.



ქალაქისკან პელა კავლიშვილი,
თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი.

ჩუპი თხილისი

ერთი გოროზი მამალი ხოხბის სიკვდილი იყო შენი გაჩენის მიზეზი.
**„ვანტანგ თქვა: „იუავ ქალაქი“
 და აღმოცენდა ქალაქი“.**

მზეზე ალაპლაპებულმა ბრინჯაოსფერმა მკლავმა მოიქნია წერაქვი და
 ღრმად ჩასვა მიწაში.

ქვა ჩავარდა საძირკველში.

და... აშენდა, დამშვენდა საქართველოს დედაქალაქი.

მაგარი იყო შენი ზღუდე, შენს მხარბეჭიან ნარიყალას არაერთგზის შე-
 მორტყმია მტერი. მხოლოდ ყველაზე მრისხანე მტერმა, უხილავმა და უჩი-
 ნომ, უხმომ და შეუბრალებელმა ჟამთასვლამ გატეხა შენი გალავანი და და-
 არღვია. შენ კი ვერა დაგაკლო რა.

აქ საუკუნეებს გაუმართავთ მარულა. გაგიძლია ურჯულოთა რბევისათ-
 ვის და, მჯერა, რომ ეზიარე მარადისობას.

შენს ქუჩებში, ქარიანსა თუ წვიმიანში, თოვლიანსა თუ ნისლიანში, სი-
 არული არ მომწყინდება. თლონდ ფეხი მედგას შენს წმინდა მიწაზე, შენს
 ცას ვუცქერდე.

თბილისო, დიდო ქალაქო, სისხლჭარბი და ძლიერი მტკვარი გიჩქეფს
 ძარღვებში.

სალამოყამს, როცა მთაწმინდიდან მონაბერი ნელი სიო ნანასავით მო-
 გიმღერებს და ტკბილად ჩაგეძინება, მე უხმოდ ავუყვები მთაწმინდის ბი-
 ლიკს და შენი სილამაზით დატყვევებული დიდხანს, ძალიან დიდხანს გად-
 მოგყურებ. აქედან, როგორც ხელისგულზე, მოჩანს შენი სანახები: დიდე-
 ბული ქაშვეთი, ხარაჩოებში მომწყვდეული ძველი და ახალი უბნები — ნა-
 ძალადევი, ვარაზისხევი, კუკია, ვერე თუ დილომი...

გამოგიტყდები, ერთ ჩვეულებრივ თბილისელ ბიჭს უყვარხარ, ჩემო
 ქალაქო. ვერავის შეგადარებ, ვერავისზე ვერ გაგცვლი შენ, ერთადერთო ქა-
 ლაქთა შორის....

**„და — ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთათ შენდა სათქმელად?
 მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“**

ლავა კობრიპაძე,

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა
 წრის „მთიების“ წევრი.

ღაჯა ჩუპი

ვარდ-ყვავილები, ნელი სიო, სურნელი ბადის,
 ატმის რტოების აფეთქება, ვაზების ცრემლი,
 მთების სიმწვანე, მთაში ჯიხვი, ტყეში — ხარლადი, —
 ჩემი ლამაზი ქვეყანაა, დედაა ჩემი.

მდინარეების ჩქარი სრბოლა, ბუბუნე ტყეთა,
 მფეთქავი მიწის მოლივლივე მინდორი ჭრელი,
 მინდორ-ველებზე საოცარი სიმრავლე ფერთა, —
 ჩემი ძვირფასი ქვეყანაა, დედაა ჩემი.

ნაკადულები და ხატულა ჩიტთა ჟრიალი,
 მყინვარის ბროლი, მოციაგე, თვალისმომჭრელი,
 მთვარე ქათქათა, მოკაშკაშე ვარსკვლავთ ციალი, —
 საქართველოა, საქართველო დედაა ჩემი.

კობა ვუმბურიძე,


თბილისის 81-ე საშუალო სკოლა, X კლასი.



ნატურმოტი
 გოჩა ქაჯანია,
 თბილისის 65-ე საშუალო
 სკოლა, II კლასი.

საზამთროს გამყიდველი
 ზაზა ჩხატინანი.
 თბილისის 24-ე საშუალო
 სკოლა, V კლასი.





რა! მალე მივალთ ადგილზე და ბუნაგში შევუყვებით:

— გარეთ გამოდი, დათურა! დაუპატივებელი სტუმრები გეწვივნენ! მაგრამ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა. კლდის შუაწელს კარგა მანძილზე გავცდით, ცოტაღა გვაკლდა გამოქვაბულამდე, ყველამ თოფები მოვისინჯეთ, ქუდები შევისწორეთ, ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯალა დანები მოვიმარჯვეთ.

ამასობაში ზურგიდან ნიავმა დაუბერა. მეწინავე შედგა, მხარს ზემოდან გამოგვხედა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ თავი ეჭვიანად გადააქნია. სადარდელს მივუხვდით: ნიავი ადამიანის სუნს წაიღებს, დათვი იყნოსავს და დაგვასწრებს...

ცოტაც რომ გავიარეთ, დავინახეთ გამოქვაბულიდან გამობრუნებული ხარისტოლა დათვი. მან თავი მალა ასწია, დრუნით ჯერ ერთ მხარეს დაყნოსა ჰაერი, მერე — მეორე მხარეს. ბოლოს ჩვენც დაგვკრა თვალი. წუთით მოგვაშტერდა, თითქოს რალაცას ფიქრობსო, მერე დაადირა თავი და მძიმე-მძიმედ ჩვენკენ წამოაჯბაჯდა.

იარაღზე გავიკარით ხელი, მაგრამ უფროსმა გვანიშნა:

— სროლა არ გაბედოთ. პირველი დამიზნებითაც რომ მოვარტყათ ტყვი,



ერთს შინც გაიბრძოლებს და ანკარა ფიდან გადაგვეყრის.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ხედავ, სადაცაა თავს წამოგვადგება! — უთხრა ერთმა შიშნარევი ხმით.

უფროსი მონადირე დაფიქრდა. დათურა კი მობაჯბაჯებს. დროდადრო შედგება, გამოგვხედავს...

წინამძღოლმა გვითხრა: — თოფები ბილიკს ზემოთ თოვლზე დააწყვეთ და ზედ გულდაღმა დააწექით. როგორც წინამძღოლმა გვებრძანა, ისე მოვიქცით. ვწევართ პირქვე, არ ვინძრევით, საკუთარი გულის ბაგაბუგი გვესმის.

დათურა მოგვიახლოვდა. უკანა ფეხებზე შედგა და ყრუდ აბურდღუნდა.

უფრო გავეკარით კლდეც, სუნთქვაც კი შევაჩერეთ, ილღის ქვეშიდან ვუთვალთვალვებთ დათვს.

ასე მკვდრებივით დაყრილები რომ დაგვინახა, ყურები წინ გაიშვირა და ფრთხილად წამოვიდა ჩვენკენ. რამდენიმე მოკლე ნაბიჯი გადმოდგა და ისევ გაჩერდა; თავი ასწია, ჰაერი დაყნოსა... გამათავა ლოდინმა, თფლში გავიწურე. ალბათ მარტო მე არ ვიყავი ამ დღეში... მაგრამ რა შეგვიძლია? ბიჭი ხარ და გაინძერი! ვწევართ, თითქოს კლდეზე ნართების ჯადოსნური წებოთი მიგვაწებეს. თოვლ-ყინულიან კლდეზე გულმუცელი გვეყინება, მაგრამ ამას ვილა აქცევს ყურადღებას!

დათურა პირველად წინამძღოლთან მივიდა. შედგა. გადავწყვიტე: „თუ ცემა დაუწყო, წამოვდგები და თოფს დავახლი. უთუოდ ჩემი ამხანაგებიც დამეხმარებიან!“

მაგრამ არა: ნადირი დაიხარა, დაყნოსა და ფრთხილად გადააბიჯა, მერე მეორეს მიუახლოვდა, იმასაც დაადო დრუნჩი და გაშორდა. დანარჩენ ორ ამხანაგსაც ცხვირი უსვა, ყნოსა და დაინება თავი.

ყველაზე ბოლოს მე ვიწვექი. გული ბუღიდან ამოვარდნას ლამობდა: ჯავრი ჩემზე არ იყაროს-მეთქი... კეფასთან მომიახლოვდა პირი. ისეთი ცხელი ოხშივარი მეცა კისერში, თითქოს ღუმელის კარი გამოაღესო. ეს იყო და ეს — გამცილდა დათურა...

როცა დათვი საკმაო მანძილზე დაგვშორდა, ერთი ამხანაგი წამოჯდა და თქვა:

— დაცვხოთ, ბიჭებო, ზურგიდან! — და თოფი შემართა.

— არ გაბედო! — შეუყვია წინამძღოლმა, — ეგ ღალატია. გაუშვი თავის გზაზე.

დათვმა ტყის პირს მიადწია, შეჩერდა, ერთი კიდევ მოგვხედა და ტყეს შეეფარა.



გაზიანთა და უგაზიანთა სიკეთე

ერთ სოფელში უცხო კაცი მივიდა და სახლის აშენებას შეუდგა. კედლების ამოყვანას ცოტაღა უკლდა, რომ ავად გახდა და სამკურნალოდ ქალაქში წაიყვანეს. მეზობლებს შეეცოდათ უცხო კაცი და გადაწყვიტეს სახლის მშენებლობა უიშისოდ დაემთავრებინათ.

ხმა არავის ამოუღია.
— რაო, ამ ორმა კაცმა აიყვანა კედლები და გადახურა ეს სახლი? — მეეკითხა გატრუნულ ხალხს.
ერთი მათგანი შეკრებილთ გამოეყო და რამდენიმეზე მიუთითა — ამათაც იმუშავესო.
— ჰოდა, პატიოსანნიც ესენი ყოფილან... — თქვა ახალმოსახლემ.
— ესენი თუ პატიოსნები არიან, ჩვენ რაღა დავაშავეთ, ჩვენი ნამოღვაწარი რომ არარად მიიჩნიე? — გაფიცხდნენ სულსწრაფი მეზობლები.
ახალმოსახლემ მიუგო:
— რომ მეუბნებიან, მოგეხმარეთ, ამით მაგრძნობინებთ — ვალში ხარ და სამაგიერო პატივი გვეციო. თქვენ რომ არ გეთქვათ, განა თავად არ ვიკითხავდი, ვინ იყო ჩემთვის სიკეთის მქნელი? ვინც მომეხმარა, იცის, რომ სიკეთე არ დაეკარგება, წინასწარი გაფრთხილება კი იმასაც დააბრუნებდა და მეცა.



როცა ავადმყოფი მორჩა და სოფელში დაბრუნდა, ერთმა მეზობელმა ეშმაკურად გადაუკრა:
— საღურგლო საქმეს მე ვხელმძღვანელობდი, მგონი კარგადაც გავართვი თავი...
ახალმოსახლემ მღუმარედ გაშორდა ახლა მეორე მეზობელი მივიდა და მოახსენა:
— შენი ბინის მშენებლობაზე მეც ვიმუშავე. ხომ მოგეწონა ჩვენი ნახელავი?
ახალმოსახლეს თითქოს არც გაუგონიაო ნათქვამი, მოედანზე შეჯგუფებულ ხალხისკენ გაემართა და იმათ მიმართა:
— კიდევ ხომ არავის გაქვთ რაიმე სათქმელ-საკითხავი?

სიზარკასი და გსხვერავი

ერთმა ზარმაცმა სკვინჩამ მთელი ზამთარი მერცხლის ბუდეში გაატარა.
გაზაფხულისპირზე კულმაკრატელამ სიყვარულით მიუჭიკკია თავის საბუდარს, მაგრამ ნაადრევი იყო სიზარული.
— ჰა, რა გულისგამაწყალებლად ტყიბინებ. ვინა ხარ ასეთი უტიფარი, მოსვენებას რომ არ მაძლევ? — გადმოსძახა ბუდიდან თვალების ტუტყვენი და მთქნარებით სკვინჩამ.

— ჩემს ბინას მოვაკითხე. მოტყუანული ქვეყნებიდან მოვისწრათოდ დასიხარულით გული ამიჩუყდა... — დამნაშავესავით უბასუხა არამკითხველ მასპინძელს მერცხალმა.
— რაო, რაო? ჩემს ბინას მოვაკითხეო? როდის აქეთ არის ეგ ბუდე შენი? მთელი შემოდგომა-ზამთარი მაგის მოვლა-პატრონობას გადავეყვი და ახლა ერთბაშად შენი გახდა?
მერცხალი შეენუკვა, დალილ-დაქანცული წუთით მაინც მომასვენე, სული მომათქმევიწეო, მაგრამ ვინ ილო ყურად მისი ვედრება! ბოლოს მერცხალმა იქაური სკვინჩების ბელადს მიმართა: „თქვენი თვისტომი სახლ-კარს მართმევს და შეაგნებინეთ რამეო“.


ბელადმა სწრაფად შეკრიბა „სამეფო“. ეახლნენ ზარმაცს და სთხოვეს — დაუბრუნე პატრონს თავისი საბუდარიო. სკვინჩამ შორს დაიჭირა ამათი ნათქვამი:
— მერცხალს რომ შემურდეს, კიდევ ჰო. თქვენი ქვევა კი, მართალი გითხრათ, მაკვირვებს — ბედისაგან ბოძებული სიკეთე რომ არ გემეტებათ ჩემთვის.
— უგუნურო, — გაბრაზდა სკვინჩების ბელადი, — შესაშური არა გაქვს რა! იმიტომ გეცხავთ, რომ ის ჩაიღინე, რაც ჩვენს ჯიშ-ჯილაგს არ მოსდგამს და თავი მოგვჭერი.
ყველა არწმუნებდა სკვინჩას — მართალი არა ხარო. იგი კი თავისას იძახდა, — ჩემია ეგ ბუდე და ცოცხალი თავით არავის დაუთმობო.
შეეშვნენ ფრინველები სკვინჩას, მერცხალს კი ერთიანი ძალით ახალი ბუდე აუშენეს.
ერთხელ, ზამთრისპირზე, სკვინჩა ავად გახდა, უპატრონობისა და მოუვლევლობისაგან დასუსტდა, დაძაბუნდა. იფიქრა, მოდი წავალ, მოძმეთ



თავს შევაბრალე და მომხელავენო. მაგრამ ბუდიდან აფრენილს ძალა არ ეყო, მიწაზე დაენარცხა და სული გაწუტევა...



გაუხუნარი ფურცლები



„ვინცა ვინ დასწერდებოდა“ — გიგანტური კპოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ. არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, — მუნით დაწერეთ და ღმრთისათვის ერთმანეთსა ნუ გაპრევეთ“.

ამ ანდერძში ყველაფერი ნათლად და გასაგებად არის ნათქვამი. მხოლოდ ერთი რამ იყო გაუგებარი და სადავო: სახარების რომელ ძველ თარგმანებს გულისხმობდა გიორგი მთაწმინდელი, როცა ხანმეტსა და საბაწმიდურს ახსენებდა? საბაწმიდა ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი იყო და საბაწმიდური უნდა დარქმეოდა სახარების იმ რედაქციას, რომელიც საბაწმიდის ლავრაში შემუშავდა. მაგრამ სახელდობრ რომელი იყო ეს რედაქცია, არავის შეეძლო ეთქვა. კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარი იყო მეორე ტერმინი — **ხანმეტი**. ერთ-ერთ მკვლევარს „ხანმეტი“ სახარების დანართად მიიჩნდა, მეორეს — სრულ ტექსტად, მესამე ფიქრობდა, ხანმეტიც ისეთივე გეოგრაფიული სახელია, როგორც საბაწმიდაო, მაგრამ რაკი ასეთი ადგილი არავის სმენოდა, თვითონვე იჭვი ეპარებოდა თავის მოსაზრებაში; მეოთხეს „ხანმეტი“ **ზოგჯერ მეტი** ეგონა („ხანმეტი, ხან ნაულები“), მეხუთეს — დრო მეტი („ხანი მეტი“). იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ ხსენებულ ტერმინში სპარსული ხანა („მუხლი“, „ტაეპი“) იგულისხმება და იგი მუხლმეტს, მეტი ტაეპების შემცველ რედაქციას ნიშნავს.

საბოლოოდ არც ერთი ეს ახსნა სწორი არ აღმოჩნდა. როცა გამოშუერდა უძველესი პალიმფსესტები, სადაც ხშირად **ხ** პრეფიქსი მერმოდელი ნორმების მიხედვით ზედმეტი და უადგილო ჩანდა, მაშინ კი ნათელი გახდა, რომ „ხანმეტი“ სწორედ ამგვარ ტექსტებს რქმევია და გიორგი მთაწმინდელიც თავის ანდერძში ამ სახელით სახარების ისეთ ხელნაწერს გულისხმობდა, სადაც ასო **ხ** (**ხანი**) ზედმეტად არის ხოლმე ნახმარი.

როგორც ვთქვით, უძველესი ხელნაწერების აღმოჩენის ამბავი აკაკი შანიძემ პეტროგრადში შეიტყო და გიორგი მთაწმინდლის ანდერძში ნახსენები „ხანმეტიც“ მაშინვე მოაგონდა. მისი მნიშვნელობა ახლა უკვე ცხადი და უუკველი გახდა. თბილისისაკენ მატარებლით მომავალი მეც-

მოსხენება, რომელიც ეხებოდა ახლად აღმოჩენილ უძველეს ქართულ ხელნაწერებს და მათ მნიშვნელობას მეცნიერებისათვის, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1923 წლის 10 თებერვალს. მოხსენებამ მსმენელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. სახელოვან მეცნიერს აღფრთოვანებული ოვაცია გაუმართეს. დიდი აღმოჩენის ამბავი მალე მთელ ქვეყანას მოედო.

იმ დროს აკაკი შანიძე თბილისში არ იმყოფებოდა. მეორე გამოჩენილ მეცნიერთან კორნელი კეკელიძესთან ერთად ის გაგზავნილი იყო ექსპერტად რუსეთში, რათა, მთავრობის დადგენილების თანახმად, საქართველოში დაებრუნებინათ სხვადასხვა დროს გატანილი სიძველენი, მათ შორის ხელნაწერები.

მოსკოვში ყოფნისას, 1923 წლის იანვრის ერთ დილას, კორნელის უკითხია:

— რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით ასე თხუთმეტითდე სტრიქონი?

— სულ ხანებით იქნება სავსეო, — დაბეჭითებით მიუგო თურმე აკაკიმ. რომელსაც მაშინვე ბოლნისისა და მცხეთის ჯვარის ხანიანი ფორმები გაახსენდა. არც ერთმა და არც მეორემ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, ანკი საიდან უნდა სცოდნოდათ. რომ ამ დროს თბილისში ივანე ჯავახიშვილი გატაცებით მუშაობდა ქართულ პალიმფსესტებზე და თხუთმეტსტრიქონიანი წარწერა კი არა, ხელნაწე-

რების ორი ათასი გვერდი ხანიანი ფორმებით იყო სავსე.

უძველესი ტექსტების აღმოჩენის ამბავი პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა აცნობა აკაკი შანიძეს პეტროგრადში. წერილი, რომელიც ნახევრად ხუმრული კილოთი იყო შეზავებული, 1923 წლის 17 მარტს მივიღეო, — წერდა შემდეგ აკაკი შანიძე, — მისი „შინაარსი პირველ ხანებში ბუნდოვანი იყო ჩემთვის. მხოლოდ როდესაც წერილში ნახსენები აკად. პ. კოკოცოვის მიერ გამოცემულის ოქსფორდის პალიმფსესტის ფოტოტიპები მოვქებნე, სიხარული-საგან (მოგეცესთ ლხენა!) მეც ძალზე ამიჩქროლდა გული, რადგანაც იმ წამსვე მცხეთა-ბოლნისის წარწერათა ასოების მსგავსი მოხაზულობანი და ზმნის ფორმები მეცა თვალში“.

სწორედ ამ დროს აკაკი შანიძეს გაახსენდა XI საუკუნის დიდი ქართველი მწერლისა და ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ანდერძში ნახსენები ტერმინი — **ხანმეტი**, რომლის მნიშვნელობა მანამდე გაუგებარი იყო.

გიორგი მთაწმინდელს სახარების ქართული ტექსტი გულდასმით შეუღარებია ბერძნულთან, შეუსწორებია და ახლად გაუმართია იგი. დამაშვრალი მოღვაწე თავის ნარედაქციევი სახარების ანდერძში სთხოვს გადაამწერლებს, — ვინც აქედან გადაიწეროთ, ზუსტად ასევე გადაწერეთ, ნურაფერს შეცვლითო, ხოლო თუ აქ რამე არ მოგწონთ, ჩუენი სახარების ადრინდელი თარგმანებიც კარგია და იქიდან გადაიწერეთ, ოღონდ ღვთის გულისათვის, ერთმანეთში ნუ აურევეთო.

აი, თვითონ გიორგის სიტყვები:

ნერი გზაშივე შეუდგა ამ საკითხზე გამოკვლევის წერას და რუსეთიდან დაბრუნების მეორე დღეს, 1923 წლის 1 აპრილს, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე წიკითხა მოხსენება: „გიორგი მთაწმიდელის ერთი საყურადღებო მოწმობა“. ამ დროიდან ტერმინი „ხანმეტი“ კვლავ აღდგა ხმარებაში.

გავიდა სულ რამდენიმე კვირა და აკაკი შანიძემ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა შორის მიაკვლია ერთ პალიმფსესტს, რომელსაც ხ (ხან) პრეფიქსის ნაცვლად, როგორც თანხმობების, ისე ხმოვნების წინ მ (მაე)-ს ხმარება ახასიათებდა (პიცოდე, პიუო, პუ-უოფ, მიპუგო, პუბრძანა, დაპუტევა, პატუუმს, პეტუოდა, პუნდა, დაპთესი და ა. შ.). ამ ხელნაწერს, „ხანმეტის“ ანალოგიით, „ჰამეტი“ ეწოდა. ჰამეტი პალიმფსესტი ნაწერი მრგლოვანი ასოებით, ენობრივი და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედ-

სტრიქონთა რაოდენობაც ერთნაირია (16-16). ახალი ტექსტი ნაწერი ნუსხახუტურით და შეიცავს მწუხრისა და ცისკრის საგალობლებს.

ხელნაწერი ტანად პატარაა, ფურცელთა რაოდენობით კი თავდაპირველად საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენამდე მესამედიც არაა მოღწეული. ეს წიგნი, ყდაშემოცილი და ორად გაყოფილი, ბოლო დროს სვანეთში ინახებოდა. იქ ერთი ნაწილი (51 ფურცელი) ხელში ჩაეარდნია ვინმე მღვდელ-მონაზონს ივანეს, რომელსაც იგი თავისი ძმისწულისა თუ დისწულისთვის უჩუქნია 1903 წელს. ამას გვაუწყებს მინაწერი პირველი ფურცლის აშიაზე: „ეს ტყავის პარაკლიტონი ვაჩუქე ილიკო ხარიტონის ძე დოლიძეს ბიძამისმან მღვდელ-მონაზონმა ივანემ 24 ივნისს 1903 წელსა. ეს წიგნი არის 900 წლისა (ჯერ 800 დაუწერია, მაგრამ შემდეგ პირველი ციფრი 9-დ არის გადასწორებული). ნაპოვნია სვანეთში. უნდა ეკუთვნოდეს თამარის ეპოხას“. მეოთხე ფურცლის აშიაზე კი მიწერილია: „სახუქარი ილიკო ხარიტონის ძე დოლიძისადმი მღვდელ-მონაზონის ივანეს მიერ 24 ივნისს 1903 წელს“.

შემდგომში ეს ხელნაწერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში მოხვდა 1329 ნომრით.

ხელნაწერის მეორე ნაწილი (53 ფურცელი) დარჩა სვანეთშივე, სოფელ იფარში. აქ იგი ნახა და აღწერა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა, რომლის მოკლე აღწერილობა გამოქვეყნდა რუსულად მოსკოვში 1904 წელს.

1923 წელს, რუსეთიდან დაბრუნებისთანავე, პროფესორი აკაკი შანიძე ენერგიულად შეუდგა ქართული პალიმფსესტების შესწავლას და სულ მალე მოაკვლია საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის №1329 ხელნაწერს, რომელიც ჰამეტი აღმოჩნდა. მკვლევარი პირველად გაკვრით შეეხებო მას 1923 წლის 28 მაისს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე წაითხულ მოხსენებაში, რომელიც მიქცვდა ჰამეტობას აღიშნის სახარებაში. „აღნიშნული პალიმფსესტი ჯერ ქიმიურად დამუშავებული და ძველი ტექსტი გაცხოველებული არ არის, — განაცხადა ა. შანიძემ, — მაგრამ ისე ამოკითხული რამდენიმე ადგილი მაინც საკმაო საბუთს გვაძლევს, გავითვალისწინოთ მისი დიდი მნიშვნელობა და ჯიროვნად დავაფასოთ იგი. ამ ძეგლის ენაზე დაწერილობით ახლო მომავალში მექნება საუბარი“.

იმავე წლის ზაფხულში ა. შანიძე სვანეთში გაემგზავრა სვანურ ენაზე სამუშაოდ. ამავე დროს განზრახული ჰქონდა შეემოწმებინა იქაური ხელნაწერებიც, — კერძოდ იფარში დაცული ის პალიმფსესტი, რომლის არსებობაც ალ. ხახანაშვილის აღწერილობის მიხედვით იყო ცნობილი.

იფარული პალიმფსესტის პირველი გასინჯვისთანავე აკაკი შანიძემ ადვილად შეინიშნა, რომ ეს იყო ნაწილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში დაცული ჰამეტი პალიმფსესტისა. მან იქვე გადმოიწერა ამ ხელნაწერიდან ის გვერდები, რომელთა გარჩევაც ქიმიური დამუშავების გარეშე იყო შესაძლებელი.

თავისი დაკვირვებანი მთლიანად ხელნაწერზე (როგორც თბილისის მუზეუმის კუთვნილ, ისე სვანეთში დაცულ ნაწილებზე) აკაკი შანიძემ მოახსენა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას 1923 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე. ეს მოხსენება დაიბეჭდა იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტის მოამბის III ტომში, ჰამეტი ტექსტებიდან ამოკითხული ნაწყვეტების დართვით.

შემდგომში ჰამეტი პალიმფსესტის ის ნაწილიც, რომელიც იფარში ინახებოდა, სვანეთიდან თბილისში ჩამოიტანეს და ამჟამად ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ორივე ნაწილი (104 ფურცელი) დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში (H— 1329).

აკაკი შანიძის სახელთან დაკავშირებულია კიდევ რამდენიმე ხანმეტი ძეგლის აღმოჩენა და შესწავლა. ერთ-ერთი მათგანია ხანმეტი მრავალთავი, რომელიც ადრე წერაკითხვის გამაჯერებელი საზოგადოების მუზეუმის ეკუთვნობდა, ახლა კი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (S ფონდი, №3902). ხელნაწერის 47-ე გვერდზე დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ ვილაცას ფანქრით მიუწერია: „ქრისდე იესომ შეიწყალოს ამ სახარების დამწერი. ამინ“. ქრისდე სვანური ფორმაა და იმაზე მიუთითებს, რომ ეს ხელნაწერი ერთხანს სვანეთში ინახებოდა. მაგრამ საიდან და როდის მოხვდა იგი სვანეთში, ან იქიდან ვინ წამოიღო და გადასცა მუზეუმს, ამის შესახებ არაფერი ვიცით. შესაძლოა იგი პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ იყოს ჩამოტანილი სვანეთიდან. 1904 წელს ხელნაწერი ალ. ხახანაშვილს გაუტანია მუზეუმში და გარდაცვალებამდე აღარ დაუბრუნებია უკან. გარდაცვალების შემდეგ მისი ბიბლიოთეკა დარჩა მო-

ჩამოტანილი ხელნაწერის ფრაგმენტები, რომლებიც მოყვანილია საკითხავები სახარებიდან. დაახლოებით XIV-XV საუკუნეებში ეს წიგნი დაუშლიათ, ეტრათი გაურეცხიათ (მაგრამ არ გაუფხეკიათ) და ხელახლა გამოუყენებიათ საწერად ისე, რომ ახალი ტექსტის სტრიქონები უმთავრესად ძველი სტრიქონების შუა სივრცეში მოუთავსებიათ, მიმართულეობა კი ორივეს ერთი და იგივე აქვს.

ხანმეტი ლექციონარი. VII საუკ.



აბაკი შანიავა

სკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს. აქ მოხვდა ჩვენი ხელნაწერიც. იგი კუთვნილებსამებრ დაუბრუნდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს მხოლოდ 1923 წელს.

ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტია, რომლის ახალი ტექსტი წარმოადგენს გამოკრებილ სახარებას, გადაწერილს ლამაზი გაკრული ნუსხურით XIV საუკუნეში. ძველი ტექსტის მიხედვით პალიმფსესტი ორ ნაწილად იყოფა: ერთ ნაწილს შეადგენს ხანმეტი მრავალთავი, რომელიც VIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი, მეორე ნაწილი კი შეიცავს იერუსალიმის ტიბიკონის ტექსტს და გადაწერილია X საუკუნის პირველ ნახევარში (ნაწილობრივ — მრგლოვანით, ნაწილობრივ — ნუსხურით).

ორივე ძველი წიგნი, რომელთა ფურცლებიც XIV საუკუნეში ახალი წიგნისათვის გამოუყენებიათ, დიდი ფორმატისა ყოფილა. ეს დიდი ეტრატის ფურცლები შუაზე გაუქეციათ და თითოსაგან ორი პატარა ზომის ფურცელი მიუღიათ. ზოგი ნახევარ-ნახევარი ფურცელიც ერთიმეორეზე ძაფით გადაუკერებიათ და ისევე ორად გაუქეციათ. ეს წყვილწყვილი ფურცლები შეკინძულია რვაფურცლიან რვეულებად, რომლებიც ერთმანეთთან მსხვილი ძაფით არის დაკავშირებული. შემორჩენილია სულ რვა რვეული, ე. ი. 64 ფურცელი (128 გვერდი). რვეულები

დანომრილია და ამის მიხედვით ირკვევა, რომ წიგნს აკლია პირველი და მესამე რვეული; ბოლოში რამდენი აკლია, ეს კი აღარ ვიცით. წიგნი ერთ დროს ტყავის ყდაში ყოფილა ჩასმული, მაგრამ ახლა მისი ნაშთი-ლა შერჩენია.

წიგნის პირველი სამი რვეული ხანმეტი მრავალთავის ფურცლებისაგან არის გაკეთებული. აკაკი შანიავამ დაშალა ეს რვეულები და გაშალა ეტრატის გაკეცილი ფურცლები. ხანმეტი ტექსტის შემცველი აღმოჩნდა სულ 14 ფურცელი (მერმინდელი ტექსტის 28 ფურცელი). ორ ფურცელზე მოიპოვება ძველი რვეულების სათვალავი, საიდანაც ჩანს, რომ ხანმეტი მრავალთავი საქმაოდ დიდი მოცულობის წიგნი ყოფილა, იგი სულ ცოტა 20 რვეულისაგან (160 ფურცლისაგან ანუ 320 გვერდისაგან) მაინც შედგებოდა.

ხანმეტი მრავალთავის გადარჩენილ ფურცლებზე გაირჩევა ორი სხვადასხვა ხელი. ორივეს მეტად მოქნილი და მშვენიერად გავარჯიშებული ხელი ჰქონია. ტექსტი ნაწერია მსხვილი ასომთავრულით ორ სვეტად. თითო სვეტში 22 სტრიქონია.


მრავალთავი სხვადასხვა ხასიათის თხზულებათა კრებულს ეწოდება. ხანმეტი მრავალთავში წარმოდგენილია თერთმეტი ნაწარმოები, რომელთაგან ექვსი ეკუთვნის იოანე ოქროპირს, თითო-თითო ივლიანე ეპისკოპოსს, ვესუქი ხუცესს, ანთიპატროს ბოსტრელს და სევერიანოს გაბალონელს, ერთის ავტორი კი უცნობია. ყველა ეს ნაწარმოები ფრაგმენტული სახით არის მოღწეული, მთლიანად არც ერთი არ შენახულია. მაგრამ ამ თხზულებათა უმეტესობა სრული სახით დაცულია მერმინდელ მრავალთავებში და დაცულია სწორედ იმავე რედაქციით, როგორც ხანმეტი მრავალთავში. ზოგჯერ თხზულებათა თანამიმდევრობაც კი ერთნაირია.

მერმინდელ მრავალთავებში დაცული ტექსტის განხილვა და ხანმეტთან შედარება გვარწმუნებს, რომ ისინი ყველანი ხანმეტი ტექსტიდან მომდინარეობ-

ენო — დაასკვნა აკაკი შანიავამ. მაშასადამე, შედარებით მოკვირანხანის ხელნაწერებში ჩვენ შემონახული გვეჩინა ბევრი ძველი მასალა.

ხანმეტი მრავალთავის აღმოჩენამ არსებითად შეცვალა აღნიშნული შეხედულება ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ უძველეს პერიოდში. როგორც გამოირკვა, ხანმეტი ლიტერატურათავის დროზე საქმაოდ მრავალფეროვანი და დიდი მოცულობისა ყოფილა.

დასასრულ, დავუბრუნდეთ იმავე ქართულ-ებრაულ პალიმფსესტს, რომლის ერთი ფურცელი ოქსფორდშია დაცული და რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენის საქმეში. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ამ პალიმფსესტის ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა. 1909 წელს ნიუ-იორკში ლ. გინზბერგმა გამოსცა აღნიშნული პალიმფსესტის ებრაული ტექსტი. 1913 წელს ლონდონში გამოიცა კონიბერის მიერ შედგენილი ბრიტანეთის მუზეუმის სომხურ ხელნაწერთა კატალოგი, რომელსაც ერთვოდა ამავე მუზეუმის ქართული ხელნაწერთა კატალოგიც. შედგენილი სერ უორდროპის მიერ. უორდროპი აღ-



სინას მრავალთავი. 564 წ. ანდრია.

შარადები

შარადას საყმაწვილო ლიტერატურაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. იგი მოზარდის გონებას აფხიანებს, ძიების, მიხვედრილობის ჩვევებს უმუშავებს; ამასთანავე, როგორც ლექსი, ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს.

ჩვენს შურნალში სისტემატურად იბეჭდება შ. ამირანაშვილის შარადები, რომლებიც მკითხველთა მოწონებით სარგებლობენ.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ შემოგთავაზათ ხსენებული ავტორის შარადების ახალი კრებული. მასში შეტანილია, როგორც უკვე გამოქვეყნებული, ასევე ახალი შარადები.



თენგიზ გოგოლაძე

რითი ვჯობივარ
მამაჩემს

თენგიზ გოგოლაძის მოთხრობა „რითი ვჯობივარ მამაჩემს“ გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ გამოქვეყნდა, ახლახანს კი ცალკე წიგნად გამოვიდა.

მოთხრობის გმირი ბონდო დარაშვილი თავნათევა და ჭიუტი უმაწვილი ვახლდათ, კარგი სწავლითაც ვერ დაიკვებინდა, წიგნი არ უყვარდა. საბედნიეროდ, მოკლე ხანში არაერთი საგულისხმო ამბის მომსწრე და მონაწილე გახდა, რამდენიმე თვე ცნობილი ქართველი მწერლების გვერდით გაატარა. ყოველივე ამან მასზე კეთილი გავლენა მოახდინა.

„რითი ვჯობივარ მამაჩემს? ყველაფერს გულახდილად გიტყვით“... — მიმართავს ამ წიგნის მკითხველს ბონდო. თქვენც გულდასმით მოუსმინეთ — მისი ნაამბობი ბევრ რამეზე ჩავაფიქრებთ.

ვახტანგ
გოგოლაშვილი

მუშაობის სიკვდილი

ზოგიერთ თქვენგანს, ალბათ, წაუკითხავს ალ. დიუმას რომანი „სამი მუშკეტერი“ ან ამავე სახელწოდების ფილმი აქვს ნანახი და ამიტომ, შესაძლოა, „მუშკეტერის სიკვდილიც“ მის მსგავს ნაწარმოებად მიიჩნიოს. სინამდვილეში, ამ მოთხრობის სიუჟეტი თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული, ნამდვილ ამბავზეა აგებული. წაიკითხავთ „მუშკეტერის სიკვდილს“ და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რაოდენ მტკიცეა საშუალო სკოლის კედლებში დაწყებული მეგობრობა, ურთიერთსიყვარული, ახალი თვალთ შეხედავთ ამხანაგებს, თანაკლასელებს, მეტ სიტბოს იგრძნობთ მათდამი.

ნიშნავდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული პალიმფსესტის ქართული ნაწერი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ პალიმფსესტს ჰგავს და ორივე ალბათ ბიბლიის ერთსა და იმავე ხელნაწერს ეკუთვნისო.

პროფესორმა აკაკი შანიძემ და პროფესორმა რობერტ ბლეიკმა შეისწავლეს აღნიშნული ნაწყვეტები. დადასტურდა, რომ კემბრიჯის, ოქსფორდისა და ლონდონის მუზეუმებში მოხვედრილი პალიმფსესტის ფურცლები ერთი ქართული ხელნაწერიდან იყო გაფანტული. ბლეიკის ვარაუდით, ეს ხელნაწერი 700 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს გადაწერილი, ა. შანიძემ კი პალიეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი ხანმეტ ხელნაწერთა შორის უძველესად მიიჩნია და VI-VII საუკ. მიჯნას მიაკუთვნა.

პალიმფსესტის ნაწყვეტები შეიცავს ადგილებს იერემიას წინასწარმეტყველებიდან. ამ ნაწყვეტების მიხედვით ა. შანიძე ასკვნის, რომ ქართული ხელნაწერი, რომელსაც ერთ დროს ეს ფურცლები ჰკუთვნებია, თავის დროზე მთლიანი ტექსტი უნდა ყოფილიყო იერემიას წინასწარმეტყველებისა. ასე რომ, მეშვიდე საუკუნის დასაწყისში იერემიას წიგნი უკვე ნათარგმნი ყოფილა ქართულად.

„პირდაპირ საკვირველია მისი ბედი, — წერდა ამ ხელნაწერის გამო აკაკი შანიძე, — ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნისა და მეშვიდის საზღვარზე და ხმარებული, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში, ალბათ იერუსალიმში. მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვეიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისათვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ის-ღა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში. ერთ ფურცელს, იერუსალიმზე გამოვლით, ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუძენიათ. აღმოჩნდება თუ არა დანარჩენი ნაწილები პარიზში, ფრანკფურტში თუ სხვაგან, არ ვიცით, თუმცა კი ძალიან შესაძლებელია, როგორც ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ერთი პატარა ნაგლეჯი ქართულ-ებრაული პალიმფსესტისა ლონდონშიც მისულა, ბრიტანიის მუზეუმში“.

მართლაც საკვირველია ზოგიერთი წიგნის თავგადასავალი.

ქვემოთ ვაქაჯი



დოდო ვადაჭორიას ბევრი მშვენიერი მოთხრობა და ზღაპარი აქვს დაწერილი. მწერლის პირველი მოთხრობა „თამარიკოს სიხარული“ დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში“ 1950 წელს და მას შემდეგ დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით ემსახურება ამ საქმეს. „ტატო, ქარი და ქუდი“, „თეთრი კენჭი“, „ერთგული დედობილი“, „ბურძღვია“, „ბროლის ციგა“ და კიდევ მრავალი სხვა მისი ნაწარმოები გულით შეიყვარა პატარა მკითხველმა.

მაღე გამოვა მწერლის ახალი მოთხრობების კრებული „ჩემი სოფელი“, რომელიც მოწარდი თაობისთვის არის გამოწვნილი. ამ ციკლიდან თქვენ უკვე წაკითხული გაქვთ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული რამდენიმე მოთხრობა: „ჩემი სოფელი“, „შუქი“, „ყელსახვევი“ და სხვა.

დოდო ვადაჭორიას წელს შეუსრულდა დაბადების 50 წელი. მივულოცოთ და ვუსურვოთ, რომ კიდევ ბევრი კარგი მოთხრობა და ზღაპარი დაეწეროს თქვენთვის, ძვირფასო ბავშვებო!



ვანკისა

ციკლიდან „ჩემი სოფელი“

მოთხრობა

პანკისა ერთი ჩია კაცია. ცხვირ-პირი წალდს მიუგავს, ტანიც ტარივითა აქვს ჩამოლესილი. დღენიადაც თავზე ნაბდის ქუდი ადევს. კუნაპეტი თმა შუბლზე აქვს ჩამოშლილი, მაგრამ ხანდახან მაინც მოუჩანს ცალი გამეჩხერებული წარბები. წვრილ-წვრილი თვალები აქეთ-იქით მიმოურბის. თითქოს უფრო ერთ თვალს ატანს ძალას, ყველაფერი იმით უნდა დაინახოს და მეორეს კი განგებ არიდებს. გაუხდელად აცვია წითელი სატინის ხალათი, რომელიც წვრილ კისერზე თეთრი ღილით აქვს შეკრული. ღილი კი შავი ძაფითაა დაკრებული. შარვალიც მიწაში ამოგანგლული აცვია. ფეხთ

კი — საბურავის ნაჭრები აქვს ქალამანივით ამოკრული. დიდის სოფელში თავისი განუყრელი სახრით და უკან მიჰყვება პირდორბლიანი ბომბორა ნაგაზი.

პანკისას ეგრე კი ნუ უყურებთ! ისეთი მუშაკაცია, მთელ სოფელში ბადალი არა ჰყავს. იმისი ვაშლის ბალი ავი თვალთ არ ინახება. კოლმეურნეობაში მეველედ მუშაობს.

ვენახების ბოლოს, თუთის ხეზე რომ წამოსკუდებდა, შორიდანვე მოჩანს მისი წითელი ხალათი. კაი დედის შვილი ხარ და ცუდი თვალთ ჩაუარე სოფლის ჭირნახულს.

თავდაუზოგავი მუშაობა იცის პანკისამ. მაგრამ თუ ჩაეძინა, მტრისას, ზარბაზნის ხმაც ვერ გააღვიძებს, იცის თავისი ეს ზნე და თივით გამოტენილ მუთაქაზე რომ მისდებს ხოლმე თავს, ნაგაზს სიტყვას უტოვებს: ძაღლო, თუ მაგრა დამეძინება, შენ იცი, შემომყეფო. ძაღლსაც თითქოს ესმოდა პატრონის მუდარა, გააბამდა თუ არა ძილს პანკისა, ერთს შეიყვებდა და თათს ფეხზე გაჰკრავდა. პანკისა მაშინვე წამოვარდებოდა ხოლმე.

იმ წელიწადს ვაშლის უხვი მოსავალი იყო. პანკისას ბადალი ისე დაიხუნძლა, რომ ხეებს ტოტები მიწაზე ეწყით. ჩვენი უბნის გოგო-ბიჭებს ზემო სოფლისაკენ გავეყვი. გზა ხეობაში მიდიოდა. მაყვლის, ასკილისა და იასამნის ბუჩქები ერთმანეთში ჩახლართულიყო, მტვერი დასდებოდათ, გზის პირას ზოგი მცენარე თითქოს განზრახ წყალში გაწოლილიყო ტანის გასაჯრილებლად.

მაღე დურუჯის ფართო დამბას მივადექით. ზემოთ ავედით და დამბით განვაგრძეთ გზა.

მოპირდაპირე მხრიდან ფეხშიშველი, ქერათმიანი, მზით გატრუსული, ნახევრად შიშველი გოგო გამოიბოდა. მის წინ თხა მიბაკუნებდა.

— ვინ არის? — ვკითხე ბავშვებს.

— სიზირდილი. — დედ-მამა არა ჰყავს. ბებია ლოგინადაა — პაპა უვლის მთელ ოჯახს. ეგ თხა მაგათი მარჩნალია.

გარშემო ძალიან მაღალი ნაძვები იდგნენ. იქვე პატარა მდელივით ვეებდა თაფლისფერი ლოდი იდო. ნეტავ, როგორ გაუძლო მიწამ, რომ აქამდე თან არ ჩაიტანა? ნეტავ, ისე როგორ ადიდდა დურუჯი, რომ ეს ლოდი აქ ჩამოიტანა? — გავიფიქრე. ერთიც ვნახოთ, სიზირდილმა მიწას ფეხი დაჰკრა. მოებლაუჭა ლოდს და თვალის დახამხამებაში ცისფერთვალზე გოგო, ქანდაკებასავით აღიშართა ქვაზე. თხა იქვე ახლოს შეჩერდა და პატრონს შეჰპეტლა.

— შენც ამოდი, ამოდი, — ეძახდა სიზირდილი თხას. თხამ წინა ფეხები აიშვირა და ისიც ქვაზე შესკუპდა.

დურუჯის პირას თეთრი, დაძარღვეული ლამაზი ქვები ეყა-
რა. ზოგი მე წამოვიღე, ზოგი კი ჩემმა ამხანაგებმა. ჩვენებმა
დამცინეს — თბილისში ქვების წაღებას აპირებო?

თქვენ იცნეთ, — ვფიქრობდი გულში. — მაინც წავი-
ღებ. რაფაზე დავაწყობ, შიგ ყვავილების ქოთნებს ჩავდგამ
და ბალი მექნება.

ბავშვები წყნელის ღობეს მისცვივდნენ. ღობის იქით წი-
თელი ვაშლები ღვიოდა ფოთლებში. საამო სურნელი ტრი-
ალეზდა ირგვლივ. მოულაპარაკებლად ერთი მეორის მიყო-
ლებით გადაცვივდნენ გოგო-ბიჭები ბაღში. მეც გადავევი:
მაგრამ ნაწნავით სარს გამოვადე. ცუდად მენიშნა ეს.

— ნეტა პანკისა სადღაა, — თქვა ერთმა.
— ალბათ კოშკში გუდასავით სძინავს.

ის იყო უბებები ავივსეთ, რომ ბალახებში რაღაცამ გაიშლი-
გინა. ბავშვები პანტაპუნტით გადაცვივდნენ ღობეზე.

მივიხედ-მოვიხედე. ვერაფერს დავლანდე. მაგრამ ცოტახნის
შემდეგ მოისმა ფრთხილი ნაბიჯები და სუნთქვა. მალე ხეებს
შორის ძუნძულით მომავალი ძალღი გამოჩნდა. არ შეშინე-
ბია. მაინც გავისუსე. ნაგაზმა იქაურობა მიიბრინ-მოიბრინა,
ჩემთან მოვიდა, დამყნოსა, ამომხედა და ძუნძულით გაბ-
რუნდა.

ფეხაუჩქარებლად მივედი ღობესთან, გადავხტი და რას
ვხედავ: ბავშვები გაოგნებული ღებანან, ზოგს თვალებზე აუ-
ფარებია ხელი, ზოგი შიშისაგან გამშრალ ტურჩებს ილოკავს,
ზოგიც თავს იქეჭავს სიმწირისაგან.

თურმე ნუ იტყვი, მტერს დაეტაკა პანკისას ქოფაკი! ცო-
ცხალი თავით კაცს პირს არ გაუშვებს. იმიტომაც დაიზაფრ-
ნენ ჩემი მეგობრები და მოპარული ხილი ჩამწარდათ.

სალამოთი ქაქანი ატყდა უბანში.

— არა, გენაცვალე, ჩემი არა ყოფილა, — მუხლები ამო-
ითქვიფა ერთმა ფაშფაშა დედაკაცმა.

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, ჩემ ბაღს იქ რა უნდო-
და, ქაა! — ყვიროდა მეორე.

— პანკის, აქედან დამეკარგე. თორემა!.. — იძახდა
მესამე.

ეს ჩვენი პანკისა შემდეგ ჩვენს სახლსაც მოადგა. კიბე-
ზე ამოწყაპუნდა და მამაჩემს შუაშტერდა. მე ბოძს მივეყუდე.

— რამ შეგაწუხა, პანკისა, რაზე გარჯილხარ? — ღიმი-
ლით უთხრა მამამ.

— რა, „აფთრიაქო“ და, (მამა აფთიაქში მუშაობდა)
შენმა ქალმა ბალი გამოიკრიფა... ეს შენი მეზობლები უარს
ამბობენ — ჩემი არ იყო და ჩემი არ იყო... — ნერწყვი გა-
დაყლაპა პანკისამ და შავ ყინტორა ყელში თითქოს ლუკმა
გაეჩხირაო ისე გაირინდა. — შენი კი ნამდვილად იყო! —
როგორც იყო ამოისუნთქა და ვიწრო, გამხდარ მკერდზე მუშ-
ტი დაიბრაუნა, — ძალღი მივეუშვი, მაგრამ კუდიც არ შე-
არხია იმ ვერანამა იმან, განა?! — გაოცება გამოეხატა გა-
ლეულ სახეზე პანკისას.

მამამ სკამი მიაწოდა.

— დაჯექი, კაცო, სული მოითქვი. განა ისე როგორ დავა-
ზარალეს, რომ ვერე თავს იკლავ, — დაამშვიდა მამამ.

სახრებზე დაყრდნობილი მეზობლები შემოგვეხვივნენ.

პანკისა სკამზე ჩამოსკუპდა და მოკლე ფეხები ააქანავა.
უწამწამო, ვიწრო თვალებს აფახულებდა, დრო და დრო სრუ-
ტუნებდა.

— შენ კი არ მოგიპარავს ხილი? — მოულოდნელად ჰკი-
თხა მამამ.

— როგორ არა, აფთრიაქო, მაგრამ...

— რა მაგრამ, ბაღებს ვაშლისთვის როგორ გამოუდექი.
თან ამბობ, ქოფაკი მივეუსიეთ. რომ დაეგლიჯა მერე სად
მიდიოდი, — მამას სიტყვას მეზობლები ყაყანი აწყვენენ.
პანკისას ემუქრებოდნენ, — თუ დიდი ზარალი გაქვს, თქვი
და აგინაზღაურებ, — ისევე შეიკრა შუბლი მამამ.

— არა, — კაცო... წელში გასწორდა პანკისა, —
ზარალი, რის ზარალი.

— მამ კარგად იყავი, ჩემო პანკისა და იცოდე — შენ
ბაღში, თუ ბაღი დაინახო, არც კი შეამჩნევინო, რომ სა-
ქურდლადაა მოსული. ბაღს ხილისაგან სული გამოსწევს,
რა დაეფიცება. მოზარდია, შეერგოს. თუ ვერ მისწვდება ნა-
ყოფს, შენ დაუკრიფე, მერე აღარ გაივლებს გულში ქურდო-
ბას, — შენ კარგ კაცობას დაიმახსოვრებს.

პანკისამ უხმოდ აითრია წელი. ქალებმა უკან ქოქოლა მი-
აყოლეს...

ერთი კვირის შემდეგ ვაშლის რთველი ჰქონდა პანკი-
სას, მთელი უბნის გოგო-ბიჭები მიგვიწვია.

დოდო პელაქოკია.

მხატვარი ელშარდ ამბოკაძე.





ერთი შეხედვით ადამიანს ეგონება, რომ კიბო განუწყვეტლივ ამოდრავებს მარწუხებს, მაგრამ ასე არ არის: იგი თათებზე წამოიწვევს ხოლმე და იწყებს სიგნალების გზავნას მხოლოდ მაშინ, როცა დედალს დაინახავს. თუ მისმა მონდომებამ ამაოდ არ ჩაიარა, დედალი კიბო თავის მხრივ იწყებს პატარა მოხდენილი მარწუხების თანმიმდევრობით გაშლა-აქეცვას და მიეშურება მისკენ.

საინტერესოა, რომ მამალი კიბოს ამ ეესტს ორმაგი აზრი აქვს. დედალი კიბოსადმი მიმართული გამოწვევა დანარჩენ მამლებს ასე ესმით: „ტერიტორია დაკავებულია, ჩემს სახლს არ გაეკაროთ“ და მართლაც, თუ რომელიმე თავხედი მამალი სხვის სოროს მიუახლოვდება, მამლებს შორის იწყება სასტიკი ბრძოლა. ერთმანეთს ჩააგლებენ თავიანთ ვეება მარწუხებს, ცდილობენ მოწინააღმდეგე მიწას ააგლიჯონ და რაც შეიძლება შორს მოისროლონ. გამარჯვებული იწყებს თავდავიწყებით ცეკვას.

როდესაც დედალი დაინახავს მოძიგილავე მამლებს, არ ჩაუვლის გვერდით დაელოდება ბრძოლის შედეგს და, ცხადია, გამარჯვებულს გაჰყვება. სხვაგვარად არც შეიძლება: გამარჯვებულის ცეკვა ეს ხომ გრძელი და მგზნებარე სიტყვაა, რომელიც კიბოების ენაზე ნიშნავს:

„შემხედეთ, რა გულადი ვარო!“
ცხოველები ხშირად იყენებენ მიმიკას, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ადამიანებისას. ადამიანის მიმიკას ხშირად თან სდევს ფერის ეფექტი. ჩვენ ხან ვწითლდებით, ხან ვფითრდებით. ამ მხრივ ცხოველები გვეჯობნიან. მაგალითად, გაჯაფრებული ქამელეონი წამში მწვანედან შავი ხდება და ამით მოწინააღმდეგეს თითქოს აფრთხილებს — ჩემგან კარგს არაფერს მოელოდეთ. გაჯაფრულზე კი, როცა მამალი ქამელეონი დედალს ხვდება, იგი ნამდვილილუმინაციას აწყობს: ყვითელი, წითელი, ხან კი იისფერი ხდება.

მათთვის, ვინც გამოქვაბულებსა და ზღვის ფსკერის მარადიულ წყვედიადში ცხოვრობს, ცხადია, ინფორმაციის ასეთი გაცვლა მიუწვდომელია. მაგრამ ბუნებამ აქაც იპოვა გამოსავალი და პატარა ფარეგებით შეაიარაღა ისინი, ვინც, სიბნელეში მუდმივი ყოფნის მიუხედავად, მახვილი მზერა შეინარჩუნა. ასეთი ცხოველების უმეტესობა ცხელ, ტროპიკულ ქვეყნებში ან ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ცხოვრობს. ჩვენ მხოლოდ ერთი ცოცხალი ფარანი გვყავს — ციციხათელა.

ზაფხულში შებინდებულზე გზისპირებამ, მინდვრებსა და ტყეებში ინთებია მხიარული მომწვანო ნაპერწკლები. ეს დედალი ციციხათელაა. იგი სი-

დიდით 2-3 სანტიმეტრია, აქვს პატარა თავი და მკერდი, სამი წყვილი ფეხი და მადლი, ხორციანი მუცელი. მთლიანად მუქი ყავისფერია. მხოლოდ მუცლის ქვედა მხარე აქვს თეთრი. სწორედ აქ არის მოთავსებული ფარანი. დღისით დედალი, თეთრი მუცლით მიწას ეკვრის და თითქმის შეუმჩნეველი ხდება. მაგრამ, როგორც კი შებინდდება, სასწრაფოდ გამოვა თავშესაფრიდან, აძვრება მაღალ ღეროზე და ისე დაეკიდება, რომ მუცელი მაღლა ჰქონდეს აშვარილი. ამის შემდეგ ანთებს სინათლეს.

მის მიპატივებაზე მიიჩქარიან მამლები. ისინი გაცილებით პატარები არიან, ფრთები აქვთ და კარგად ფრენენ. შემოდან შესანიშნავად ხედავენ ფარანს და მისკენ მიეშურებიან.

ჩვენებურ ციციხათელას ძალიან მარტივი ენა აქვს — მასში მხოლოდ ერთი სიტყვაა. ტროპიკების ციციხათელებს კი ენა უფრო სრულყოფილი აქვთ. ჯერ ერთი, ფარანი დედალსაც აქვს და მამალსაც; მეორეც, მათი ფარანის შუქი წყვეტილია. მეგობრის საძებნელად გამოსული მამალი იწყებს ფარნით ციმციმს. დედალიც ფარანსავე ციმციმით უპასუხებს.

მაგრამ როგორ გავრკვევს მამალი საპასუხო სიგნალში? როგორ გაიგოს ვინ უპასუხა, მისივე სახეობის დედალმა თუ სხვამ? როგორც გამოირკვა, ამის გაგება არცთუ ძნელი ყოფილა. მამლისაგან მიღებულ სიგნალს დედალი ციციხათელა ზუსტად დადგენილი სისტემით უპასუხებს. ყოველ ნათებას შორის მკაცრად დაცული დროის მონაკვეთი. ამასთან ყველა სახეობის ციციხათელებს დედალ-მამლის სიგნალებს შორის ეს ინტერვალი სრულიად განსხვავებული აქვთ. მაშასადამე, ფარანი აინთო, ეს ნიშნავს: „მე აქ ვარ“, ხოლო დროის ინტერვალი, რომელიც საპასუხო ფარანის ანთებამდე გადის, არის მაჩვენებელი იმ სახეობისა, რომელსაც ეს დედალი ციციხათელა ეკუთვნის.

უფრო მეტადაა გავრცელებული სუნის ენა. ამ ენით სარგებლობს დედამიწაზე არსებულ ცხოველთა უმრავლესობა. სუნოვან ნივთიერებებს გამოიმუშავენ სპეციალური ჯირკვლები. ანტილოპებსა და ირმებს ასეთი ჯირკვლები თვალის ახლოს აქვთ, ინდოეთის სპილოს — ყურების წინ, აქლემს — კისერზე, მაიმუნებს — შინძანხესა და გორილას — იდლიის ქვეშ.

სუნის დიდი უპირატესობა იმაშია, რომ შეიძლება მისი გამოყენება წერილობითი შეტყობინებისათვის. მაგალითად, ირემი გაეხახუნება დრუნჩით ხეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ამ ხეზე თითქოს გაკრული რჩება მისი განცხადება, რომლითაც თვისტომ ირმებს ატყობინებს — აქ გადის ჩემი სამ-

ფლობელის საზღვარი.

როდესაც ნადავლით დატვირთული ჭიანჭველა შინ მიიჩქარის, შიგადაშიგ მუცლით ესება მიწას და ტოვებს მასზე შიგურ სუნთან კვალს, რომლითაც დანარჩენ ჭიანჭველებს შეუძლიათ მიაგნონ იმ ადგილს, სადაც საჭმელია. ამგვარმა მაჩვენებლებმა არეულობა რომ არ გამოიწვიოს, ჭიანჭველის ჩანაწერი ძალიან მოკლე ხანს — დაახლოებით ასობდე წამი ინახება. ამ დროში ჭიანჭველას მხოლოდ 40 სანტიმეტრის გავლა შეუძლია. მაგრამ თუ საჭმელი ბლომადაა ნაშთი, მაშინ ბილიკს ერთდროულად ბევრი ჭიანჭველა მიჰყვება, და ყოველი მათგანი ანახლებს გზის მაჩვენებელს.

გზუფურად მცხოვრები მწერების ყველა ოჯახს — ფუტკრებს, ჭიანჭველებს, ტერმიტებს — აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუნი. ოჯახის ყველა წევრისთვის ეს სუნი ნამდვილი პირადობის მოწმობაა, რომელსაც ყველა მათგანი წარუდგენს გუშაგს სახლში შესვლის წინ. თუ რომელიმე ჭიანჭველა ან ფუტკარი დიდხანს დაჰყოფს სხვაგან, სხვა ოჯახის წარმომადგენლებს შორის — და, ცხადია, მათ სუნს გამოიყოლებს — მას სახლში აღარ უშვებენ.

სუნის საშუალებით ფუტკრები გადასცემენ საგანგაშო სიგნალს. როდესაც ფუტკარი მტერს ჰკბენს, შხამთან ერთად გამოჰყოფს განსაკუთრებულ სუნოვან ნივთიერებას და ამით თითქოს საშველად უხმობს დანარჩენებს. ფუტკარს ისრის ამოღება ჭრილობიდან არ შეუძლია, იგი სწყდება და მასთან ერთად სწყდება სუნის გამავრცელებელი ყველა ჯირკვალი. ისე გამოდის, თითქოს ფუტკარმა მტრის სხეულზე დატოვა რადიოგამაძვამი, რომელიც ეთერში განუწყვეტელივით გზავნის საგანგაშო სიგნალს. ახლა მტერი ვერსად დაიმალება: სადაც უნდა წავიდეს, რადიოგამაძვამი მუშაობას განაგრძობს. ფუტკრები, როგორც კი „გაიგონებენ“ საგანგაშო სიგნალს, უმალ მიემუშრებიან მოძმის დასახმარებლად და ცდილობენ მტერს სწორედ იმ ადგილთან ახლოს უკბინონ, საიდანაც სუნი სცემთ. ყოველი ისარი — რადიოგამაძვამი მუშაობს ათი წუთი.

ცხოველთა ენებში ყველაზე მეტად მაინც


ხმოვანი ენა არის განვითარებული. აქ ზოგი ბგერა თავშეყრის ნიშანია, ზოგი — საშიშროების მოახლოებისა, ზოგიც იმის მაუწყებელი, რომ ნაპოვნია საჭმელი. სწავლულებმა ქათმის ენაშიც კი აღმოაჩინეს დაახლოებით 30 „სიტყვა“.

ძალიან მდიდარია ჭკების ენა. მაგალითად, ბგერა, რომელიც დაახლოებით ასე გამოითქმის: „კია“ — ნიშნავს: „მომყევიტ“, ხოლო „კი-ავ“ — „მომყევიტ სახლისაკენ“.

მოზრდილი ჭკები ბგერებს იყენებენ ბარტყების წვრთნის დროს. ერთი გაკვეთილი სრულიად საკმარისი ხდება იმისათვის, რომ პატარა ჭკამ მტერ-მოყვრის გარჩევა შეძლოს.

ფრინველთა მელოდიური, მომაჯადოებელი სიმღერაც საუბარია — ამასთან ძალიან პროზაული. ასე განსაჯეთ, ბულებულის გალობაც მხოლოდ და მხოლოდ იმის განცხადებაა, რომ ეს ტერიტორია დაკავებულია და მასზე შემოჭრა არ ღირს.


ადვილად შეიძლება ცხოველებისათვის ახალი სიგნალების სწავლება. მწვრთნელები, ჩვეულებრივ, სიტყვებს ხმარობენ. ჭკვიანი ძაღლი სწრაფად ით-



ვისებს ბრძანებას: „ფებთან“, „იწეკი“, „გვერდით“.

ზოგიერთ ფრინველს, მაგალითად, თუთიყუშს, ყვავს, შოშისას, რომელთა ხმოვანი აპარატურა შედარებით ახლოსაა ადამიანურთან, შეგიძლიათ ყოველ ენაზე ასწავლოთ ცალკეული სიტყვების და ზოგჯერ მთელი ფრაზის წარმოთქმაც კი. ერთ-ერთი სავაჭრო გემის ბოცმანმა ინგლისში ჩაიყვანა თუთიყუში ჟაკო, რომელიც, როცა ქილაში წყალი ამოშრებოდა, ყვიროდა: „წყალი მომეცით“, ხოლო როცა მწვანილი მოუნდებოდა, დაბეჯითებით იმეორებდა: „მომეცით სალათა“. მას არასოდეს ავიწყებებოდა, ვიდრე თავს ფრთისქვეშ ამოიდებდა, ადამიანებისთვის „ღამე მშვიდობისა“ ესურვებინა, მაშინაც კი, როცა მასთან ოთახში არავინ იყო.

მაიმუნის ტვინი, როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო განვითარებულია, ვიდრე ფრინველებისა, მაგრამ ხმოვანი აპარატი ცუდად აქვს განვითარებული. მაიმუნისთვის ადამიანური მეტყველების სწავლების მრავალმა ცდამ ამოღ ჩაიარა. ბევრი მაიმუნი, გარდა ხმოვანი სიგნალებისა, ჟესტებსაც იყენებს. სწორედ ამით ისარგებლა ნევედის უნივერსიტეტის პროფესორმა ადენ გარდნერმა. მან მაიმუნ ვოშუს ასწავლა ყრუმუნჯთა ანბანის რამდენიმე ნიშანი. ვოშუმ იცის 60 სიტყვა, მაგალითად, ასეთები: „შენ“, „მე“, „ჭამა“, „აჩქარება“, „წასვლა“, „კატა“. ამასთან მათგან ისწავლა მოკლე წინადადებების შედგენა. მაგალითად: „ყური უგდე ძაღლი“, რაც ნიშნავს: „ძაღლის ხმა მესმის“; „გააღე გასაღები“, როდესაც დაკეტილი





ქართული
ბუნებისმეტყველების
მეცნიერებათა
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

გაკვეთილი მიღობა

შ ა რ ფ ი


შარფის მოსაქსოვად საქი-
როა 200 გრ შალის ძაფი, ორი
ჩხირი № 2,5.
თვლების გაანგარიშება: 10
სმ უღრის 80 თვალს, ესე იგი
1 სმ უღრის 8 თვალს.

ძსრმა აპურული ნაჰით

აკრიფეთ 24 + 2 თვალი.

პირველი მარინატი

I რიგი — წალმა თვლები;
II რიგი — უკულმა; III რი-
გი — წალმა; IV რიგი — უკულ-
მა; V რიგი — 2 ნამატი, 1
წალმა და ა. შ., VI რიგი —
თვლები იქსოვება წალმა ან
უკულმა. ნამატი არ იქსოვება,
ჩაადეთ. VII რიგი — რო-
გორც I რიგი (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1.

მეორე მარინატი

აკრიფეთ 25 + 2 თვალი

I, II, III და IV რიგი —

კარების გასაღებად გასაღებს თხოუ-
ლობს.

როგორც ხედავთ, ცხოველებს შეიძ-
ლება ასწავლო ზოგიერთი სიგნალის აქ-
ტიურად გამოყენება. მაგრამ შეუძლიათ
თუ არა მათ შორის ყველაზე ჭკვიანებს
ამის დამოუკიდებლად, ადამიანის დაუხ-
მარებლად შესწავლა? სულ ახლახან
მეცნიერები ამაზე უარყოფით პასუხს
იძლეოდნენ, მაგრამ ახლა დელფინებმა
ისინი ფრიად საინტერესო ამოცანის
წინაშე დააყენეს, რომლის გადაჭრაზე
უთუოდ იქნება დამოკიდებული საბო-
ლოო პასუხი.

ორ დელფინს, რომლებიც ერთ აუზ-
ში ცხოვრობდნენ, ასწავლეს ბერკეტზე
მიწოლა: მარცხენაზე, როდესაც ერთ
ფიგურას აჩვენებდნენ, და მარჯვენაზე,
როდესაც მეორეს. შემდეგ აუზი გადა-
ტიხრეს. მარჯვენა ნახევარში დარჩენი-
ლი დელფინი კარგად ხედავდა ფიგუ-
რებს, მაგრამ ბერკეტებს ვერ სწვდე-
ბოდა, მარცხენა ნაწილში მოხვედრილ
დელფინს თავისუფლად შეეძლო ბერკე-
ტებზე მიწოლა, მაგრამ ვერ ხედავდა სა-
სიგნალო ფიგურებს.

როდესაც ჩვეულებრივი ცდა პირვე-
ლად ჩაატარეს გადატიხრულ აუზში,
მეცნიერები გაოცდნენ: მარცხენა დელ-
ფინი, რომელიც სასიგნალო ფიგურებს
ვერ ხედავდა, უშეცდომოდ აწვებოდა სა-
ჭირო ბერკეტს. ეს შესაძლებელი გახდა
მხოლოდ იმიტომ, რომ მარჯვენა დელ-
ფინმა შეძლო თავისი თანამოძმისთვის
გადაეცა ინფორმაცია, თუ რომელ ფიგუ-
რებს უჩვენებდნენ. ამას დელფინი, უთუ-
ოდ, ბგერების მეშვეობით ახერხებდა.

მაგრამ რა ბგერები იყო ეს — ჩვეულებ-
რივი ემოციური რეაქცია, თუ რაღაც
სხვა — ამის დადგენა მეცნიერებმა
ჯერჯერობით ვერ შეძლეს.

დიდი ხანი არ არის, რაც ადამიანმა
ცხოველების ენის გაგება შეძლო, მაგ-
რამ ესმით თუ არა სხვადასხვა ცხოვე-
ლებს ერთმანეთის ენა? ზოგჯერ კი.

სრულიად განსხვავებული ცხოველე-
ბი, თუ ისინი ერთ გარემოებაში ცხოვ-
რობენ, ნაწილობრივ ითვისებენ თავი-
ანთი მეზობლების სიგნალებს. განსა-
კუთრებით — საგანგაშოს. საგანგაშო
სიგნალი, რომელსაც კაჭკაჭი იძლევა,
კარგად ესმის იმ მიდამოებში მყოფ ყვე-
ლა ცხოველს. ტაიგის ბაჯბაჯა ბატონ-
პატრონი დათვი და უსურიის ტყეების
რისხვა ვეფხვიც კი არ ტოვებენ უყუ-
რადღებოდ ამ სიგნალს.

მაგრამ ერთი სახეობის, ოღონდ სხვა-
დასხვა ადგილებში მცხოვრებ ცხოვე-
ლებს არ ესმით ერთმანეთის, არა აქვთ
საერთო ენა. გამოირკვა, რომ საფრან-
გეთის ყვავებს არაფერი ესმით ამერიკუ-
ლი ყვავებისა, ხოლო შავი ზღვის
მკვიდრ დელფინებს ხმელთაშუა ზღვის
დელფინებისა.

ჩვენს დროში ცხოველთა ენას სწავ-
ლობენ ათობით ლაბორატორიაში. ამ
საკითხისადმი ასეთ დიდ ინტერესს უბ-
რალე ცნობისმოყვარეობა როდი იწ-
ვევს: როდესაც ადამიანი შეისწავლის
ცხოველთა ენას, შეძლებს ცხოველთა
სამყაროს წარმართვას სურვილისამებრ.

ბ. ფალოროვი.

ჟურნალიდან „იუნი ნატურალისტი“.

წალმა თვლები; V რიგი — 5 წალმა, 2 ნამატი, 1 წალმა, 8 ნამატი, 1 წალმა 4 ნამატი, 1 წალმა, 5 ნამატი, 1 წალმა, 4 ნამატი, 1 წალმა, 8 ნამატი, 1 წალმა, 2 ნამატი.

VI რიგი — იქსოვება წალმა, ნამატი ჩაუშვით. VII, VIII, IX და X რიგი — იქსოვება წალმა თვლებით. XI რიგი — 2 ნამატი, 1 წალმა, 8 ნამატი, 1 წალმა, 4 ნამატი, 1 წალმა, 5 ნამატი, 1 წალმა, 4 ნამატი, 1 წალმა, 8 ნამატი, 1 წალმა, 4 ნამატი, 1 წალმა, 8 ნამატი, 1 წალმა, 2 ნამატი, 5 წალმა.

XII რიგი — როგორც VI რიგი.

XIII რიგი — როგორც I რიგი (იხ. ნახ. 2).

გათქვიფეთ 1,5 ჰიქა შაქრის ფხვნილში, მიუმატეთ სამი სუფრის კოვზი თაფლი და 1 ჰიქა ნიგოზი (ნიგოზი წინასწარ დაქერით), შეურიეთ ერთი ჩაის კოვზი სოდა, დაუმატეთ ცოტაოდენი ვანილი, სამი ჰიქა ფქვილი და მოწილეთ ცომი. ცომი გაუყავით 8 ნაწილად და ცალ-ცალკე გამოაცხვეთ მრგვალ ფორმაში.

კრემი

ორი ჰილა შესქელებული რძე ქილიანად 2 საათის განმავლობაში ადუღეთ წყლიან ჰურჭელში, შემდეგ გადაიღეთ სხვა ჰურჭელში, დაუმატეთ ვანილი ან ლიმონის ნაყენი.

ლეილა ახობაძე.

ჭრი-ქიჩი

გაკვეთილი მესამე დღის პერანგი გომონასთვის

პერანგისათვის ვიღებთ მხოლოდ ორ ზომას: პერანგის სიგრძესა და მკერდის გარშემოწერილობას.

ყველა ნახაზს ვიწყებთ მართკუთხედის აგებით. ხაზებს, რომლებიც კუთხეს ქმნიან, თავიანთი დანიშნულება აქვთ. ზედა ჰორიზონტალურს — კისრის ხაზი ეწოდება, ვერტიკალურს კი — ზურგის ხაზი.

გარდა ამ კუთხის შემქმნელი ხაზებისა, არის შემდეგი ხაზებიც: მკერდის ხაზი, წელის, თეძოს და ნაკეთობის ბოლო ხაზი.


მრგვალად ამოჭრილი პერანგი სამხრეთიანი პერანგისაგან იმით განსხვავდება, რომ უფრო მეტად დახურულია.

ავიღოთ პერანგისათვის საჭირო ზომები და ჩამოვწეროთ ქალაღდის ზემო მარჯვენა კუთხეში. პერანგის სიგრძის ზომა ასე უნდა ავიღოთ:


საზომი მივადოთ კისრის მეშვიდე მაღას, ზურგის ჩასწვრივ მუხლის საკეცამდე, რაც, ვთქვათ, უდრის 78 სმ. მკერდის გარშემოწერილობას კი ვიღებთ შემდეგნაირად: საზომს

შემოვატარებთ ილიების ქვეშ მკერდის ყველაზე მაღალ ადგილას. ვთქვათ, მივიღეთ 72 სმ. მაგრამ, როგორც წესი, იწერება გარშემოწერილობის ზომის ნახევარი, ე. ი. 36 სმ. დანარჩენი ზომები — ილიის, მკერდის ამოჭრილობა და მხრების სიგრძე — უნდა დავადგინოთ მკერდის ნახევარ-გარშემოწერილობის მიხედვით. ამისათვის 36 სმ გავყოთ თანამიმდევრობით 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, და 8-ზე, შევადგინოთ ცხრილი და მოცემულ ზომებთან ერთად ჩამოვწეროთ ქალაღდის მარჯვენა ზედა კუთხეში. ნახაზის ასახვებად საჭიროა ბადის დაშლა და მკერდის, გვერდისა და ნაკეთობის ბოლო ხაზების პოვნა.

ნახაზის აბჯანა. მაგიდაზე გაშალეთ თეთრი ქალაღი, რომლის მარცხენა ნაპირიდან 3 სმ დაშორებით, ხოლო ზევიდან 7 სმ დაშორებით დასვით A წერტილი. ამ წერტილიდან ქვევით სახაზავით გაავლეთ ვერტიკალური სიგრძის ხაზი. ამავე A წერტილიდან ჰორიზონტალურადაც გაავლეთ ნებისმიერი სიგრძის ხაზი. ეს ხაზები წარმოქმნიან მართ კუთხეს. ჰორიზონტალურ ხაზზე A წერტილიდან მარჯვნივ გადაწომეთ მკერდის ნახევარ-გარშემოწერილობის ნახევარი (ე. ი. 36:2), მიუმატეთ 1 სმ სიგანისათვის (36:2+1=19) და აღნიშნავთ A₁ წერტილით. AA₁ ხაზს ეწოდება კისრის ხაზი. A₁ წერტილიდან მართი კუთხით გაავლეთ ვერტიკალური ხაზი. მკერდის ხაზი მდებარეობს A წერტილიდან მკერდის ნახევარ-გარშემოწერილობის ერთ მესამედ მანძილზე (36:3=12), მიუმატეთ 3 სმ, მიიღებთ 15 სმ-ს. A წერტილიდან ქვევით გადაწომეთ 15 სმ და აღნიშნეთ B წერტილით. B წერტილიდან გაავლეთ AA₁-ის პარალელური ხაზი და აღნიშნეთ B₁ წერტილით. BB₁ ხაზი იქნება მკერდის ხაზი. A წერტილიდან გადაწომეთ პერანგის სიგრძე — 78 სმ და აღნიშნეთ B წერტილით, რომელიდანაც გაავლეთ BB₁ ხაზის პარალელური ხაზი და აღნიშნეთ B₁ წერტილით. BB₁ ხაზი იქნება პერანგის სიგრძის ხაზი. A წერტილიდან მარჯვნივ



რდის გარშემოწერილობის ერთ მეოთხედს გამოკლებული 1 სმ (36:4—1=8) და აღნიშნეთ A₂ წერტილით. მკერდის ამოსაჭრელად B წერტილიდან ზევიწი აწომეთ 5 სმ და აღნიშნეთ B₂ წერტილით. შეუერთეთ იგი A₂ წერტილს. რკალისებური ხაზით — მიიღებთ მკერდის ამოჭრილობას. ზურგის ამოჭრილობის მისაღებად B₂ წერტილიდან ზემოთ აწომეთ 8 სმ და აღნიშნეთ B₃ წერტილით. შეართეთ იგი A₂ წერტილთან რკალისებური ხაზით. მხრის სიგანე მუდმივად 4 სმ-ია. A₂ წერტილიდან მარჯვნივ გადაწომეთ 4 სმ და აღნიშნეთ A₃ წერტილით. ილიის ამოჭრილობის მისაღებად, მკერდის ხაზის B₁ წერტილიდან B წერტილისაკენ გადაწომეთ ძირითადი ზომის ერთი მერვედი ნაწილი (36:8=4,5 სმ) და აღნიშნეთ B₄-ით. შეაერთეთ იგი A₃ წერტილთან რკალისებური ხაზით. შემდეგ B₁ წერტილიდან ქვევით გადაწომეთ 2 სმ (ეს მუდმივი სიდიდეა), აღნიშნეთ B₅-ით და შეაერთეთ B₄ წერტილთან. ეს იქნება ილიის ამოღებულება. ქვემოთ პერანგი მუდამ განიერი და ამიტომ B₁ წერტილიდან მარჯვნივ გადაწომეთ 5 ან 6 სმ (რაც პერანგს სიგანეს უმატებს), აღნიშნეთ B₂-ით და შეაერთეთ B₅ წერტილთან. პერანგის ბოლო რომ გათანაბრდეს, B₂ წერტილიდან ზემოთ გადაწომეთ 1,5 სმ, აღნიშნეთ B₃-ით და შეაერთეთ B₁ წერტილთან. ამის შემდეგ, შეგიძლიათ გამოჭრათ თარგი, მისი მიხედვით კი — ქსოვილი.



ნახ. 2.

შარტის ბოლოში ფორები გაუთეთეთ. მარი ტაბიძე.

კუჩინარია

გაკვეთილი მეოთხე

ნამცხვარი თაფლითა და ნიგოზით

მასალა

კვერცხი 8 ცალი, შაქრის ფხვნილი 1,5 ჩაის ჰიქა, თაფლი სამი სუფრის კოვზი. ნიგოზი 1 ჩაის ჰიქა, ფქვილი 8 ჩაის ჰიქა, სოდა 1 ჩაის კოვზი, ორი ჰილა შესქელებული რძე, ცოტაოდენი ვანილი.

მომზადება
სამი კვერცხი მთლიანად

ცხელი ზღვა უნგრეთის ქვეშ



ამ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს მიწის-ქვეშა ცხელი წყლის ზღვა, რომელიც უნგრეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარზეა გადაჭიმული. მასში 4000 კუბური კილომეტრი წყალია, რომლის ტემპერატურა 150 გრადუსს აღწევს ცელსიუსით. მას მალე გამოიყენებენ სამეურნეო საჭიროებისათვის. მაგალითად, ქალაქ სეგედასთან გატრილი პირველი ქაბურღილები ცხელი წყლითა და გათბობით უკვე უზრუნველყოფენ 10 ათას საცხოვრებელ ბინას.


გაზეთები — ხმოვან

შოტლანდიაში დააპროექტეს უჩვეულო მიკრობიოლოგიური კომბინატი. აქ ძველ გაზეთებს, ყურნალებსა და ქაღალდის სხვა მკაულატურას გადაამუშავებენ ხბოებისათვის განკუთვნილ ყუთიან, ცილოვან-ვიტამინებიან საკვებად.

ასეთი ცილის მიღების მეთოდი საქმოდ მარტივია: ქაღალდს ჭერ აქუსვამაცებენ და ოდნავ მარილიან წყალში ასველებენ, შემდეგ მასზე ათავსებენ ერთგვარი სახის მიკრობებს, რომლებიც ადვილად იწველებენ უჩვეულო საკვებს და სწრაფად მრავლდებიან. დაბოლოს, ბაქტერიებს ახმოვან და დებულობენ ვიტამინების შემცველ მაღალკონცენტრირებულ ცილას.

რა პროფესიის ადამიანებს არ ნახავთ...

უკვე თექვსმეტი წელია, რაც ტონინო კარერა წარმატებით ხელმძღვანელობს პროფესიონალ ტაშისდამკვერთა ჯგუფს სახელგანთქმულ მილანის თეატრ „ლა-სკალაში“. თეატრის მესვეურებთან შეთანხმებით, იგი დირიჟორობს თეატრში ტაშის დაკვრას. ვინც კარერას ჯგუფში მუშაობის სურვილს გამოთქვამს, მას, ჭერ ერთი, დიდი ხელები უნდა მჭანდეს, მეორე — მოკლებული უნდა იყოს მუსიკალურ სმენას.



— მუსიკალური სმენა, — ამბობს კარერა, — მას მხოლოდ ხელს შეუშლის —

კატა — კუნძულის სიმბოლო

ირლანდიის მახლობლად მდებარე კუნძულ მენზე ბინადრობენ უკულო კატები. უკულო კატა ამას წინათ უკვდავებს — კუნძულის სიმბოლოდ გამოაცხადეს. 1970 წელს ლონდონის ზარაფხანამ მოსჭრა მონეტები, რომელთა ერთ მხარეს აღბეჭდილია დედოფალ ელისაბედ მეორის პორტრეტი, მეორე მხარეს კი — უკულო კატის გამოსახულება.

კალიბრის ფარმა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებობს კალიბრის მომწენებელი ფერმა. აქ გამოწერილი კალია განკუთვნილია ზოოპარკებში მცხოვრები ეგზოტიკური ფრინველებისა და ქვეწარმავლების საკვებად. ფერმის პროდუქციას დიდი გასავალი აქვს პოლონეთის ფარგლებს გარეთაც.

საზრობი ქალაქი

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში დაქობებულ მიწას სპეციალური საზრობი ქალაქი დაარსდა: ნაკვეთზე დაფენილი (შრის სისქე 80 სმ.) 11-18 მეტრი სიგრძის ნაკრები წყალს იწოვენ და ამოაქვთ მიწის ზედაპირზე, სადაც იგი ორთქლად იქცევა.

უინვაგამლე ხმოვანი

არქტიკული ბიოლოგიის სპეციალისტებს მუდამ აინტერესებდათ, თუ როგორ უძლებენ ხოჭოები დაბალ ტემპერატურას. მათ ხომ ბევრჯერ უნახავთ მინუს 50-80 გრადუს უინვაში გაყინული, ხის კუნძულებზე შეუთუთული ხოჭოები. ამ დროს ისინი შავი უინულის ნამცეცები გეგონებთ, მაგრამ ოთახის სითბოში მყისვე ცოცხლდებიან. ლაბორატორიაში ეს მწერები მინუს 85 გრადუსსაც კი უძლებენ. დაბოლოს, მეცნიერებმა მიაკვლიეს ამის მიზეზს — ხოჭოს სისხლში დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს უინვაგამლე ნივთიერება გლიცერინი, რომელსაც იგი თურმე ცივ ამინდში გამოიმუშავებს.

რომელიმე არიოთ მოხიბლულმა, შეიძლება ტაში არ დაუკრას იმ დროს, როცა ეს საჭიროა...

ფეხბურთის სიუზარული...

ზუსტად ათი წელი იქდა ციხეში ვინმე ფრანგი კლოდ კარნიე — ნაქურდალის მუდველ-გადამუდველი. განთავისუფლების წინადღეს ციხის ადმინისტრაციას სთხოვა, ციხიდან გამოსვლის სანუკარი დღე ორი კვირით გადაამდეთო. ეს უცნაური თხოვნა ასე დაასაბუთა: ციხის ფეხბურთელთა გუნდში ვთამაშობ, მომავალ კვირას საფრანგეთის ციხეთა თასის ფინალში უნდა მივიღო მონაწილეობა. ადმინისტრაციამ გაითვალისწინა პატიმრობის პერიოდში კლოდ



კარნიეს სანიმუშო ყოფაქცევა, აგრეთვე გადამწყვეტი სპორტული შეჭიბრებისადმი მისი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და თხოვნა შეუსრულა.

მდოგვი გველის წინააღმდეგ

ხანგრძლივი ცდებით ზოოლოგებმა დაადგინეს, რომ გველების დასაშინებლად ყველაზე უბრალო და მოქმედი საშუალებაა ჩვეულებრივი სუფრის მდოგვი. თუ ზღურბლს მდოგვს წავუსვამთ, მას გველი ვერ გადააცოცდება. და აი, ინდოეთის სამხრეთ შტატებში დაიწყეს მდოგვისთვის რეკლამის გაკეთება. მაგრამ სულ მალე ცნობილი გახდა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ამ საშუალებას, თურმე, უხსოვარი დროიდან იყენებენ.

„ნიანგების მამა“

სამხრეთაფრიკელი რანჭერ პულიე თავის პროვინციაში მცხოვრები ნიანგების დიდი მფარველია, ამიტომ მას „ნიანგების მამა“ შეაქვეს. „ბრაკონიერები ათასობით ნიანგს ხოცავენ ძვირფასი ტყავისათვის, — ამბობს პულიე, — იმას კი არ უფიქრდებიან, რომ ისინი ამით „წყლის სანიტრებს“ სპობენ. ნიანგები მდინარეში იმავე როლს ასრულებენ, რასაც ორბჭი ხმელეთზე. ამიტომ შევქმენი მათი ფერმა. ვაგროვებ კვერცხებს და ინუბატორში ვათავსებ. სამი წლის ნიანგებს უკვე მდინარეში ვუშვებ.“



ბავშვებო, თქვენ უკვე გაეცანით გამაფრთხილებელ და ამკაცრავ ნიშნებს. ამჟამად გაგაცნობთ დანარჩენ ნიშნებს.

მომთითებელი ნიშნები (მითითების საერთო ნიშანი — ცისფერი წრე) მოძრაობის ნებას რთავენ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული მიმართულებით; გარკვეული სიჩქარით; მოძრაობის გარკვეულ მონაწილეებს.

მაჩვენებელი ნიშნები (ჩვენების საერთო ნიშანი — სწორკუთხედი) უჩვენებს საგზაო თავისებურებების მდგომარეობას ან აძლევს ინფორმაციას გზაზე ამ ნიშნებზე აღნიშნული ობიექტების მდებარეობის შესახებ.

იმისათვის, რომ უფრო დაწვრილებით გაიგოთ თითოეული საგზაო ნიშნის დანიშნულება, გირჩევთ წაიკითხოთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული „გზებზე მოძრაობის წესები“.

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2, 3, 4, 5.



ინფორმაციის დაგაცემითი საშუალებანი

5.1. ნიშნის მოძრაობის უწყა

5.2. (ა,ბ,გ) მანძილი ობიექტამდე

5.3. (ა,ბ,გ,დ,ე,ვ) ნიშნის მოძრაობის მიმართულება

5.4. მოძრაობის უწყა

5.5. უაქოვლის მიმართულება

5.6. ნიშნის მოძრაობის დრო

5.7. საბარკასპორტო საშუალების სახე

5.8. (ა,ბ,გ) აქინიზის ბარასსაწლეული

5.9. თანაბარსიხვეწაწლეული ობიექტი (ქუჩის) ბაწკაქუთის მოხაწლეული

5.10. მოხაწკარი ობიექტი (ქუჩის) მიმართულება

5.11. მოხაწკის მიმართულება

5.12. სწაე

მიმართვალი ნიშნები



3.1 (ა.ბ.გ.დ.) მიმართის სანალღებელი მიმართლება

3.2 (ა.ბ.) მანაკონიუს ნიშნის მიმართლება



3.3 ნიშნის მიმართება

3.4 მანაკონიუს ნიშნის მიმართება

3.5 ნიშნის მიმართება

3.6 ნიშნის მიმართება

3.7 მიმართის სიჩქარე

3.8 მიმართის სიჩქარის ნიშნის მანაკონიუს

გარეგნული ნიშნები



4.1 მიმართის ნიშნის (ნიშნის)

4.2 მიმართის ნიშნის (ნიშნის) მანაკონიუს


4.3 მანაკონიუს ნიშნის

4.4 მანაკონიუს ნიშნის მანაკონიუს

4.5 ა.ბ. მანაკონიუს ნიშნის

4.6 მანაკონიუს ნიშნის მანაკონიუს

4.7 მიმართის ნიშნის მანაკონიუს



4.8 მიმართის ნიშნის

4.9 ა.ბ. მიმართის ნიშნის

4.10 (ა.ბ.) ნიშნის მიმართის

4.11 (ა.ბ.ბ.) მიმართის ნიშნის



4.12 მანაკონიუს ნიშნის

4.13 ნიშნის მიმართის

4.14 (ა.ბ.) მიმართის ნიშნის

4.15 მიმართის ნიშნის



4.16 მანაკონიუს ნიშნის



4.18 მიმართის ნიშნის

4.17 მიმართის ნიშნის

4.19 ნიშნის მიმართის



4.20 მიმართის ნიშნის



4.21 მიმართის ნიშნის



4.22 მანაკონიუს ნიშნის



4.23 მანაკონიუს



4.24 ნიშნის ნიშნის



4.25 მანაკონიუს



4.26 ნიშნის

ბ 60/119

ეროვნული
ბიბლიოთეკა
76157
И Д Е К



იალალჯა

სურათების გამოფენაში.

ჯურაბ შარსლაშვილი, თბილისის 140-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

ე. მგალგალიშვილი, თბილისის 65-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

